საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 30 იანვარი, 2014 წელი.

№20 (7401)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

გონიერება გვმართებს, რათა საბედისწერო შეცდომები აღარ დავუშვათ

4

თუ მართლაც გვინდა ევროპულ ოჯახში შესვლა

3

ქართველი „მრეწველები“ არაევროპული ხმით ალაპარაკდნენ

8

უკრაინის მოვლენების კვალდაკვალ

5

დღის ამფრაზურიდან

ხალხი მიდის და მილაპარაკობს...

თბილისის ქუჩებში მოსმენილი

— ჩვენი მილიონებნაჭამი მერი, ბოლოს და ბოლოს, დაგრიხეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ დაასევდიანეს, ჯერჯერობით ისევ ძველ რიხზეა...

— სამაგიეროდ, გიგის მაგივრად სევდია დასევდიანდა, თუმცა, დაგრეხით ვერ დაგრიხეს...

— გვარს ამართლებს, ბატონო, უგრეხელიძეა...

— ახლა ორივეს მიზანი საკრებულოს ჩიხში ჩაყენებაა.

— ამიტომაც არის, რომ შიხიაშვილს უკვე ჩიხიაშვილად იხსენიებენ.

— ისე მაინც ნეტავი, თუ გაარკვევენ, ვინ ჩააქრო თბილისის ანძა?

— ასე თუ გაგრძელდა, ჩემო ბატონო, ხვალ შეიძლება თვითონ თბილისიც ჩაგვიბნელონ...

— არ არის გამორიცხული, რომ საქართველო მალე მარტო, „რუსთავი-2“-ის ამარა დარჩეს.

— სააკაშვილი მკვდარი არ გეგონოთ, მხოლოდ სძინავს და აი, ნახავთ, თუ ამერიკულად არ გაიღვიძოს...

— მერე ნახეთ თქვენ სეირი!..

— ეს ნანინანატრი „ქართული ოცნებაც“ რაღაც ნაციონალურად ცალყბად იკოცნება.

— თანაც აშკარად ნაზამთრალი ცხარივით იქუცება!

— ისე, გაქუცული ცხვრისა არ იყოს, როგორი სანახავია გაქუცული ოცნება, ჰა?!

— ერიჰااا!

ხალხი კი ისევ მიდის და ათას რასმე მილაპარაკობს...

ნეტავი ყურს თუ უგდებს ვინმე?!.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ალიან-ჩალიანი

სოფიო შამანიდი პრეზიდენტის მრჩეველი გახდა

გიორგი მარგველაშვილმა ეროვნული უმცირესობების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველად სოფიო შამანიდი წარადგინა. მარგველაშვილმა სოფიო შამანიდი, როგორც საკუთარი მრჩეველი ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებს სასტუმრო „რედისონში“ გააცნო.

შეხვედრას 20 არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ესწრებოდა. სოფიო შამანიდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თანამედროვე ბერძნული ფილოლოგიის სრული პროფესორია, მეცნიერებათა დოქტორი და მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და რედაქტორია.

სოზარ სუბარი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრად დაინიშნა

სოზარ სუბარის უწყებას იურიდიული დახმარების საკითხთა ნაწილი ოფიციალურად ჩამოშორდა. როგორც პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ბრძანებაშია ნათქვამი, საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ო„ ქვეპუნქტის შესაბამისად, სოზარ სუბარი 26 იანვრიდან გათავისუფლდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის თანამდებობიდან და დაინიშნა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრად.

ასევე პრემიერის ბრძანების მიხედვით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველ მოადგილედ გრიგოლ გიორგაძე დაინიშნა, ხოლო მოადგილეებად — ეკატერინე ქრისტესაშვილი, არჩილ თალაკვაძე და ბესიკ დევდარიანი.

შემოდგომაც მოვა, ბატონო ჰერმან!

იმედი გვაქვს, რომ საქართველო და მოლდოვა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას ხელს ყველაზე გვიან, ადრე შემოდგომამდე მოაწერენ. ამის შესახებ ევროსაბჭოს პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპეიმ ევროკავშირი-რუსეთის სამიტის დასრულების შემდეგ განაცხადა. ინფორმაციას ევროსაბჭოს ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

— ასოცირების შეთანხმება, მათ შორის თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება ევროკავშირსა და მის პარტნიორ ქვეყნებს შორის, როგორიცაა საქართველო, მოლდოვა და უკრაინა, სრულად თავსებადია ამ ქვეყნების რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობებთან, — განაცხადა ევროსაბჭოს პრეზიდენტმა.

ამასთან, როგორც ჰერმან ვან რომპეის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ევროსაბჭოს პრეზიდენტმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრისას ხაზი გაუსვა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა გავლენას არ ახდენს რუსეთის ეკონომიკურ, სავაჭრო, სოციალური, ჰუმანურ და კულტურულ კავშირებზე მეზობლებთან.

ინტერპრესი

◎ ინტერნეტიდან

„გადაჭარბებული ტოლერანტობის გამო ვართ ამ დღეში“...

სახელმწიფო მართლმადიდებლობის გარდა, კიდევ ოთხ რელიგიურ მიმდინარეობას — მუსულმანურ, გრიგორიანულ, კათოლიკურ და იუდაიზმის რელიგიურ მიმდინარეობებს დააფინანსებს. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ სახელმწიფო ზარალს აუნაზღაურებს იმ რელიგიურ გაერთიანებებს, რომლებიც საბჭოთა პერიოდში სისტემური წნეხის ქვეშ იმყოფებოდნენ.

მისი თქმით, კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე მთავრობა ზარალს უნაზღაურებდა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, მაგრამ სხვა რელიგიური გაერთიანებები, რომლებმაც საბჭოთა პერიოდში არანაკლები ზარალი მიიღეს, დახმარების მიღმა რჩებოდნენ.

სახელმწიფო მინისტრის ინ-

ფორმაციით, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას მიიღებს მორწმუნე ადამიანების 90% და სხვა რელიგიური გაერთიანებების ზარალის შესწავლაც თანდათან განხორციელდება. ჯერჯერობით საუბარია ზოგად თანხაზე, რომელიც პროპორციულად განაწილდება. თანხის ზედა ზღვარი კი 4,5 მილიონი ლარით განისაზღვრება.

ამ საკითხმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია საზოგადოებაში. ლადო ბედუკაძემ ფეისბუქის საკუთარ გვერდზე სტატუსი გამოაქვეყნა.

„რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შემსწავლელი უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, საბჭოთა რეჟიმის მიერ მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხას: ისლამური, იუდეური, რომაულ-კათოლიკური და სომხური ეკლესიები მიიღებენ. დღემდე ამ ფორმულირებითვე საკონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობა ზარალს (!) უნაზღაურებდა მხოლოდ საქართველოს საპატრიარქოს — მართლმადიდებელ ეკლესიას. ნაცვლად იმის, რომ მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიის რანგში აგვეყვანა — ჩვენთვის უცხო, მწვალებლურ მიმდინარეობებს — ვაშენებთ და ვაძლიერებთ! უფრო მეტიც, საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებულ ზარალსაც ვუნაზღაურებთ, თუმცა, ჩვენ ხომ ტოლერანტობით განთქმული და პაპზე დიდი კათოლიკე ერი ვართ. და ამ გადაჭარბებული ტოლერანტობის გამო დღეს რა ვითარებაც გვაქვს თუ ვერ ვხვდებით, ვხედავთ მაინც... მესმის, ალბათ, გაურკვეველი 1500-გვერდიანი — „შალახოს“ სურნელით გაჟღენთილი ნაკისრი ვალდებულებაც შესასრულებელი გვაქვს, მაგრამ იმპერიები აღგვილან პირისაგან მიწისა, საქართველოს კი, როგორც წმ. ილია მართალი ბრძანებს: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩენია მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. და თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? გვახსოვს კი რომელიმე? ვაი, გვავიწყდება, რომ საქართველოს გადამრჩენი და ამ დრომდე მომყვანი მართლმადიდებლობაა და „ერის დაღუპვა კი მაშინ იწყება, როცა იგი თავს ისტორიას ივიწყებს“ ან ავიწყებენ! საბერძნეთში მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიადაა აღიარებული, პირადობის მოწმობაში ეროვნებასთან ერთად აღმსარებლობაცაა დაფიქსირებული, ნორვეგიაში ლუთერანობა სახელმწიფო რელიგიაა, ფინეთში 2 სახელმწიფო რელიგიაა - ლუთერანული და პროტესტანტული... ჩვენთან ალბათ ჯერ 4! არადა, რამდენიმე თვის წინათ, რესპუბლიკური პარტია ღიად საუბრობდა, რომ მართლმადიდებლური ეკლესია არ უნდა ფინანსდებოდეს სახელმწიფოსგან. ერთერთი მათი ლიდერი აღნიშნავდა: „უპრიანი იქნებოდა, რომ მომავალში ეკლესია არ ფინანსდებოდეს სახელმწიფოსგან, რაც ქმნის გარკვეულ უხერხულობებსო. ნეტავ რა შეიცვალა ასე უცებ, ბატონო?“

ნატა ნიბლაძე

◎ ინფორმაცია

სახალხო დამცველმა მთავარ პროკურატურას მიმართა

საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, დაიწყოს გამოძიება თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების მიმართ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით.

როგორც სახალხო დამცველის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, მათ განიხილეს თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების განცხადებები, რომელთა მიხედვითაც 2013 წლის 27 ივნისს, დილის საათებში თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები დაკავეს სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პიროვნებებმა, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ჩასვეს ავტომობილებში და მიიყვანეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შენობაში.

წინამდებარე განცხადებებიდან ასევე ირკვევა, რომ დაკავებისას ზემოხსენებულ პირებს არ მიეცათ კანონმდებლობით გარანტირებული პროცესუალური უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა. თბილისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლების მტკიცებით, თავდაპირველად ისინი დაკავებულები იქნენ ბრალდებულის სტატუსით, ხელბორკილების გამოყენებით. თუმცა, მოგვიანებით, ხელმძღვანელების მითითების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დახიეს მათი დაკავების ოქმები, ფორმალურად შეადგინეს მოწმის სახით აღნიშნული პირების დაკითხვის ოქმები და გაათავისუფლეს.

ამასთან, განმცხადებლების განმარტებით, მათზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მხრიდან ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატმა, შემდგომი რეაგირების მიზნით, მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს.

◎ რეპლიკა

პატივი ვცეთ მოსახლეობას!

საქართველოში კიდევ ერთი — თვითმმართველობის არჩევნები მოახლოვდა.

ბუნებრივია, ეს არჩევნები გადამწყვეტი იქნება ახალი ხელისუფლების — „ქართული ოცნების“ დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების თვალსაზრისით.

დღეს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები. კოალიცია „ქართული ოცნება“ ერთმნიშვნელოვნად ცდილობს, დაგვიმტკიცოს, თუ მერებსა და გამგებლებს 40-პროცენტიანი მაჩვენებლით ავირჩევთ, უთუოდ წინგადადგმული ნაბიჯი იქნებაო... მართალია, 40 პროცენტი ნაციონალურ 30 პროცენტს საკმაოდ აჭარბებს, მაგრამ შორს არის რეალურ დემოკრატიასთან. არამც თუ 40, არამედ 49-პროცენტიანი ბარიერიც კი არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად. **არჩევნები მხოლოდ მაშინ იქნება სამართლიანი და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის მისაღები, თუ კანდიდატები მინიმუმ 50 პროცენტს პლუს ერთ ხმას მოაგროვებენ.** არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ეს ანბანური ჭეშმარიტებაა და ყოვლად შეუძლებელია მოსახლეობისთვის თვალში ნაცრის შეყრა... თანაც 40-პროცენტიანი ბარიერის შემოღება გაისმის იმ პოლიტიკოსებისაგან, რომლებიც გუშინ სასტიკად აკრიტიკებდნენ თვითმმართველობის არჩევნების მახინჯ ნაცონალურ ნორმებს.

ძვირფასო ოცნებელებო! — ხელისუფლების განმტკიცების და შენარჩუნების მიზნით ყველა ხერხი

როდია მისაღები. პატივი უნდა ვცეთ ჩვენს ხალხს, ჩვენს ამომრჩეველს და ეჭვი არ შეგვეპაროს მის კომპეტენტურობაში.

ირაკლი ტულუში,
საქართველოს სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელი.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ბატონიიი ავად გამხდარااა!

● ამერიკაში არ არსებობს ციხეები პოლიციელებისთვის. მით უმეტეს, რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრებისთვის. მოვითხოვოთ, რომ მერაბიშვილმა, ახალაიამ და სხვა მისთანებმა სასჯელი მოიხადონ იქ, სადაც სხვა პატიმრები იხდიან!

მომავალი თვითმმართველობის არჩევნები თავისი სირთულის, პოლიტიკური დაძაბულობის, პიროვნული დაპირისპირების და ინტერესთა კონფლიქტის გამო უპრეცედენტო იქნება დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.... მზად არის ხელისუფლება, პოლიტიკური ძალები და მოქალაქეები ამ გამოწვევისთვის?

დღეიდან თუ არ დაიწყო ამ თემებზე საუბარი და პროცესის შემზადება, მერე საოცრად შემჭიდროვებულ ვადებში ყოველივე ამის გაანალიზება და გადახარშვა ძალიან გაჭირდება, რამაც შეიძლება ცუდი შედეგი მოგვიტანოს!

● „ყაზტრანსგაზიდან“ მირეკავს ვინმე ნინო. მიხსნის, რომ ანათვალი, რადგან ახალი წელი იყო, აიღეს 28 დეკემბერს და ამიტომ გამოვიდა ისე, რომ მეორედ მომიწვეს 198 ლარის გადახდა. თან მაძლევს რჩევებს, რომ არ ვიყვირო. რომ არაა საჭირო ამ ქვითრის გამო საქმის კურსში ჩავაყენო ენერგეტიკის მინისტრი, რომ მხოლოდ მე კი არა, 500 ათასი აბონენტია და ყველა ასეთ მდგომარეობაშია. მერე, ჩემს აღელვებულ რეპლიკაზე, რომ მიშა ხუთი წელი გპარავდათ გაზს და ახლა გაიგეთ, სამაგიეროდ, მოსახლეობას ძარცვავთ-მეთქი, მიყვავებს, რა საჭიროა ეს პოლიტიკური კონტექსტიო. ვპასუხობ, საჭირო კი არა, ზუსტად ასეა-მეთქი. ბოლოს, მპირდება, რომ გაარკვევენ, იქნებ, ინდივიდუალურად ჩემთვის დაუშვან, რომ როგორც აქამდე, თვეში ერთხელ, ანუ 20 რიცხვში ვიხდიდი, ისევ 20-ში გადავიხადო, რადგან არ შემექმნას დისკომფორტი და ვთიშავ ტელეფონს. ახლა, მითხარით, ასე რომელიმე ყველაზე „ბანძ“ ქვეყანაში მაინც იქცევა რომელიმე კომპანიაااა?

● მადონა 55 წლისაა, მისი ბოიფრენდი 22-ის.

თინა თერნერი 75 წლისაა, მისი ბოიფრენდი 40-ის.

ჯეილო 42 წლისაა, მისი ბოიფრენდი 26-ის.

მერაია ქერი 44 წლისაა, მისი მეუღლე 32-ის.

მარტო ხარ? დამშვიდდი!

შენი ბოიფრენდი ჯერ არ დაბადებულა.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ინფორმაცია

რით შეიარაღდება საგამოძიებო სამსახური?

ფინანსთა **სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შეიარაღებაში 10 დასახელების ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა შედის. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შეიარაღებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების ნუსხა საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა.**

დადგენილების თანახმად, საგამოძიებო სამსახურის შეიარაღებაშია პისტოლეტი, რევოლვერი; პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი; ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი; ხელის ტყვიამფრქვევი; ტყვიამფრქვევი; შაშხანა; სნაიპერული შაშხანა; ლულისქვეშა ყუმბარმტყორცნი; ყუმბარმტყორცნი, ასევე, ხელყუმბარა და ჩამოთვლილი ცეცხლსასროლი იარაღებისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალა;

დადგენილებას ხელს აწერს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და 27 იანვრით თარიღდება.

თუ მართლაც გვინდა ევროპულ ოჯახში შესვლა

როგორც მკითხველებმა იცით, 17 იანვარს გაიმართა საძართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება, რომლის მონაწილეებმაც განიხილეს ძვეყანაში მეცნიერების მართვის პრობლემები. ჩვენმა გაზეთმა ამ ერთობ მნიშვნელოვან საკითხს რამდენიმე პუბლიკაცია მიუძღვნა. დღეს გთავაზობთ კიდევ ერთ მასალას – აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ბატონ თეიმურაზ ნანეიშვილის გამოსვლას კრებაზე და მის გამოხმაურებასაც კრების მუშაობაში მონაწილე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ძალბატონ თამარ სანიკიძის გამოსვლაზე.

ჩემს გამოსვლას დავიწყებ შეკითხვით: როგორ განვითარდა მეცნიერების რეფორმა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში და რა სურათია დღეს?

პასუხი ერთმნიშვნელოვანია: არსებითად ყოველმხრივ გაუარესდა მანამდე არსებული მდგომარეობა. კატასტროფულად შემცირდა ქვეყანაში მეცნიერთა რიცხვი. დაახლოებით 80%-ით შემცირდა სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა; ახალგაზრდობამ დაკარგა მეცნიერებისადმი ინტერესი; შესამჩნევი გახდა მეცნიერთა კვალიფიკაციის დაქვეითების ტენდენცია; მკვეთრად გაუარესდა მათი მატერიალური მდგომარეობა; მეცნიერთა მიმართ გატარდა ასაკობრივი დისკრიმინაციის პრინციპი; 10 წლის განმავლობაში მეცნიერები სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

ამ სტატისტიკას კიდევ ერთხელ იმიტომ ვიმეორებ, რომ სამინისტროს ფუნქციონერები დღესაც ისე წარმოაჩენენ ვითარებას, თითქოს საქართველოში იმდენი მეცნიერი იყოს, რომ მათი შენახვა ქვეყანას ეკონომიკურ პრობლემებს უქმნიდეს. სინამდვილეში ასე არ არის.

ჯერ სამინისტროს დაქვემდებარებაში, ხოლო შემდეგ უნივერსიტეტების შემადგენლობაში გაერთიანებული აკადემიის ყოფილი კვლევითი ინსტიტუტების უმრავლესობა აღმოჩნდა სრულიად დისკრიმინირებულ მდგომარეობაში. **მათ არა აქვთ წესდება (დებულება) და, შესაბამისად, მათ თანამშრომლებს არა აქვთ მეცნიერის სტატუსი. შესაბამისად, უნივერსიტეტებში არა აქვთ საარჩევნო უფლება, ვერც აირჩევენ და ვერც აირჩევიან.** ძალიან ვეცადე ამის გამო დავკავშირებოდი ქალბატონ ეკა ბესელიას, რომ მისი, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველის ყურადღება მიმექცია ამ ფაქტებისათვის. მათი შრომითი ანაზღაურება დაახლოებით ხუთჯერ ნაკლებია აკადემიური პერსონალის ანაზღაურებაზე.

ხელისუფლების სამეცნიერო მრჩეველი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და, ზოგადად, მეცნიერთა კორპუსი, მთლიანად არის ჩამოცილებული მეცნიერების სისტემის რეფორმირების პროცესებისაგან. **მისი დაქვემდებარებიდან გამოყვანილია არა მარტო კვლევითი ინსტიტუტები, არამედ სამეცნიერო ბიბლიოთეკაც კი.** მიაქციეთ ყურადღება: ამით მე მინდა ვთქვა, რომ ფაქტია, მეცნიერებს არ აკარებენ მეცნიერებას (შეიძლება „არ აკარებენ“ ძალიან მკვახე გამოთქმაა), რომ **მეცნიერთა მონაწილეობის გარეშე წყდება მეცნიერების ბედი.**

სამწუხაროდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სრულიად არატრანსპარენტულად წარმართავს მეცნიერების სისტემის რეფორმირების პროცესს. ამავე დროს, **მან დღემდე ვერ მოახერხა მეცნიერების ორგანიზაციის რაიმე მისაღები ფორმის შემოთავაზება და (ძალიან მძიმე რამე უნდა ვთქვა) შეუდგა ლომაიას მიერ შემუშავებული ე.წ. „პროგრამული დაფინანსების წესით“ მეცნიერების სისტემის ყოფილი კვლევითი ინსტიტუტების ფაქტობრივ ლიკვიდაციას.** ეჭვგარეშეა, რომ ამ პროექტის რეალიზების შემთხვევაში ეს ინსტიტუტები საბოლოოდ გაუქმდება და ეროვნული მეცნიერება სრულიად განადგურდება, ანუ შესრულდება ის გეგმა, რაზეც წინა ხელისუფლებამაც კი აიღო ხელი. „პროგრამული დაფინანსების წესით“ მეცნიერების ორგანიზება გამოიწვევს ახალგაზრდების მეცნიერებიდან ჩამოცილებას, ვინაიდან ეს წესი არ გულისხმობს გარანტირებული მუდმივი შტატების შექმნას. ცალკეული პროექტების შერჩევითი ფინანსირება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა მისაღები, თუკი ის განხორციელდებოდა მყარი საბაზო დაფინანსების პარალელურად და დამხმარედ, რაზეც ილაპარაკეს ჩემ წინ გამომსვლელებმა.

საგულისხმოა, რომ მეცნიერების სისტემის შემოთავაზებული პრინციპით ორგანიზებას მკვეთრად აკრიტიკებდა ყოფილი ოპოზიციონერების დიდი ნაწილი, რომელიც ამჟამად ხელისუფლებაში ბრძანდებიან. პირადად მე გახლდით ერთ-ერთი ორგანიზატორთაგან წინა ხელისუფლების პირობებში ერთ-ერთი პირველი მასობრივი თავყრილობისა, რომელიც 2005 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფილარმონიაში და რომელზედაც სწორედ მეცნიერების ე.წ. „პროგრამული დაფინანსების წესი“ გააპროტესტა 3000-მდე მეცნიერმა. ბევრი თქვენგანი ესწრებოდა ამ სხდომას. **სამწუხაროა, რომ დღეს, როდესაც ჩვენ მიერ მხარდაჭერილი ადამიანები არიან ხელისუფლებაში, იმავე საფრთხის წინაშე აღმოჩნდა მეცნიერება საქართველოში.**

მერწმუნეთ, ჩემთვის არ არის ადვილი კითხვის დასმა: **ნუთუ ლომაიას გეგმის რეანიმაციისათვის ვიღვწოდით?! ამისთვის ვიკლავდით თავს?**

ფაქტი ის არის, რომ ზუსტად იგივე პროგრამაა, ზუსტად იგივე ფორმულირებით და ზუსტად იგივე მეთოდებით. მეთოდები შეიცვალა, ოღონდ ის, რომ მაშინ ჩვენ მოგვეცა საშუალება ასე თუ ისე მსჯელობისა, ახლა პირდაპირ შეუდგნენ ამ საკითხის რეანიმაციას. არ ვიცი, ვის შეჰყავს შეცდომაში ეს პატიოსანი ხალხი.

აქვე ვიტყვი, რომ **ყოველგვარი მცდელობა იმისა, რომ სამინისტროს მიერ რეალიზებადი „პროგრამული დაფინანსების წესით“ მეცნიერების სისტემის ორგანიზება წარმოჩინდეს საბაზისო დაფინანსებად (ხომ ანეკდოტურ რამეს ვამბობ), არის საზოგადოებისათვის თვალში ნაცრის შეყრა!**

არსებული მძიმე ვითარებიდან ოპტიმალურ გამოსავლად მიმაჩნია:

1. დაუყოვნებლივ უნდა შეჩერდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული კვლევითი ინსტიტუტების „პროგრამული დაფინანსების წესით“ რეალიზაციის პროცესი. ეს წესი მისაღები იქნება მხოლოდ მაშინ, თუ შენარჩუნდება და გაიზრდება საბაზისო დაფინანსება.

2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ზოგადად მეცნიერთა მონაწილეობით შეიქმნას წარმომადგენლობითი კომისია, რომელიც უმოკლეს ვადაში შეიმუშავებს საქართველოში მეცნიერების მართვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამას.

აქვე მინდა, ვთხოვო სარედაქციო საბჭოს, რომელიც ალბათ შეიქმნება, მცირეოდენი შესწორება შეიტანოს მიმართვის პროექტში, რომელიც ბატონმა ავთანდილმა პროექტი წაიკითხა და იქ, ცოტა არ იყოს, მკვახედ მომეჩვენა ერთი დეტალი, რომლითაც აკადემიის ჰეგემონურ როლს მოვითხოვთ, ალბათ, უნდა გავუწიოთ ანგარიში სამინისტროს, იმედი მაქვს, რომ საერთო ენას მოვძებნით, და უნდა იყოს ისე, რომ მეცნიერები უნდა იყვნენ ჩართულები მნიშვნელოვნად ამ პროცესში იმიტომ, რომ არ შეიძლება მეცნიერების ბედი გადაწყვიტოს მხოლოდ და მხოლოდ ფუნქციონერებმა.

დაბოლოს, აღშფოთებული ვარ, დავიღალე უბრალოდ ამის მოსმენით, იმიტომ რომ უპატიოსნობაა ეს. თამაშის წესები უნდა შეიცვალოს, არ შეიძლება ისეთი დამოკიდებულება იყოს, რასაც ახლა ვიტყვი და, ბევრი დამემწმება, რომ ჩემგან პირველად არ ისმენს ამას. აღარ შემიძლია ამ „ბრალდების“ წაყრუება. ამ ბოლო ხანს ხშირად გაიგონებთ ლომაიასდროინდელ „ფრთიან“ ფრაზას: **„მაგათ საბჭოთა კავშირის აღდგენა უნდათ და ყველაფერი გასაგებია“.**

ასე, მივლენ ხელისუფლებაში და ადამიანებს, რომელთაც მაინც და მაინც გულთან არ მიაქვთ მეცნიერების ბედი, ეუბნებიან: **„მაგენი ისედაც მილევად რეჟიმში არიან, ძლივს არიან, მაგათ საბჭოთა კავშირის აღდგენა უნდათ“.**

ამ რეპლიკის ადრესატები ვართ ჩვენ, ანუ ის ადამიანები, რომლებსაც არ მოგვწონდა და არ მოგვწონს მეცნიერებისადმი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვოლუნტარისტული დამოკიდებულება. **თვით სიტყვა „მეცნიერის“ ხსენებას ისე ერიდებიან სამინისტროში, მგონი, ისიც საბჭოთა გადმონაშთად მიაჩნიათ (ტაში).**

ჩემი აზრით, სწორედ ამ „ბრალდების“ ავტორები მოქმედებენ ბოლშევიკური მეთოდებით, როდესაც სრულიად არატრანსპარენტულად, მეცნიერთა კორპუსის სრული იგნორირების პირობებში, რამდენიმე კაცი იღებს ფაქტობრივად მეცნიერებისთვის დამღუპველ გადაწყვეტილებებს.

ახლა ნება მომეცით ამ ინსინუაციების ავტორებს დავუსვა კითხვა: **რა არის, ხალხო, საბჭოთა კავშირის აღდგენა – სამეცნიერო ინსტიტუტებისთვის საბაზო დაფინანსების მოთხოვნა?! და შესაბამისად, მათი და მთლიანად მეცნიერების შენარჩუნების მოთხოვნა?! იცით თუ არა, რომ, მაგალითად, გერმანიაში 78 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ფინანსდება საბაზისო წესით?! თუ მეცნიერების სისტემის რეფორმირების პროცესში მეცნიერთა ჩართვის მოთხოვნის საკითხში ხედავთ პრობლემას? სად არის აქ საბჭოთა კავშირის დაბრუნება?** მახსოვს, გაზეთ „რეზონანსში“ დამიწერეს, თანაც ეს ის დრო არის, როდესაც შეიძლებოდა ამაზე პასუხი მეგო, შეიძლებოდა დავეჭირე და დავეპატიმრებინე იმ მთავრობას. მადლობა ღმერთს, ახლა ამის საშიშროება არ არის, რომ აი, საბჭოთა კავშირის აღდგენა უნდაო, იგივე მეორდება. იგივე მეთოდებით მუშაობენ დღესაც. **აი, ასეთი მიდგომა უნდა დასრულდეს ჩვენს ქვეყანაში, თუ გვინდა, რომ მართლა ევროპაში შევიდეთ და ევროპისკენ გავიხედოთ. დიდი მადლობა ყურადღებისათვის (ტაში).**

* * *

მე აკადემიის მმართველობაში გახლავართ და, ცხადია, ბევრი რამეც ვიცი, რაც აქ ხდება, მაგრამ დღეს არის პირველი შემთხვევა, რომელსაც მე სულით და გულით მივესალმები: მინისტრისგან წამოვიდა წინადადება – დავსხდეთ და ვისაუბროთო. აქამდე რამდენიმე წერილი გამოვაქვეყნეთ გაზეთებში, სადაც სწორედ იმას გსაყვედურობთ, რომ ჩვენი ხმა არ მოდის თქვენამდე. თუ აკადემიის პრეზიდენტი და მისი მოადგილე თქვენ კონკრეტულ საკითხზე ერთხელ, ან ორჯერ შეგხვდნენ, უკვე 6 თვე გავიდა აკადემიის ახალი ხელმძღვანელობის არჩევიდან, ჩვენ შევდივართ, როგორც სტრუქტურული ერთეული, განათლების სამინისტროში, თქვენ დღეს პირველად მობრძანდით აქ. ძალიან კარგია, რომ მობრძანდით და ძალიან კარგია, რომ ეს იმპულსები მოდის თქვენგან. მაგრამ, მოდით, თანამშრომლობაზე ვილაპარაკოთ.

თუმცა, ისე კი არა, როგორც აქამდე იყო, რეალურად თანამშრომლობა. **მე ტყუილად არ მითქვამს, რომ ყოველგვარი მცდელობა ახლა, პროგრამული დაფინანსების იმგვარად ინტერპრეტაციისა, ვითომ ეს არ არის პროგრამული და არის საბაზისო, არის შეურაცხყოფა საზოგადოებისა.**

უყურეთ ახლა, რაშია საქმე, შეიძლება ყველამ არ იცით, მართალი ბრძანა ბატონმა გოგი გოგოლაშვილმა – დაიგზავნა ორი წერილი, ჯერ ერთი (ძალიან გთხოვთ, ეს პრესაში უნდა გამოვაქვეყნოთ, არ შეიძლება ასეთი ენით წერა), განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან ასეთი წერილი არ უნდა გამოდიოდეს, მეორე წერილი, ბატონი თამაზის ხელმოწერით, არის გასაგებად დაწერილი. იქიდან გავიგეთ, რომ გადავდივართ პროგრამულ დაფინანსებაზე, დაიბარეს ინსტიტუტის დირექტორები და უთხრეს, რომ წარმოადგინეთ თემები, ინსტიტუტის მთლიანი თემატიკა კი არა, წარმოადგინეთ თემებიო, აი, მაგალითად, ამა და ამ ინსტიტუტმა წარმოადგინოს 5 თემა. თანაც ეს საშინელება რომ არ ვთქვა, არ შემიძლია: იქ, სადაც 65 წლის ხალხი გყავთო, ამოშალეთ, იმათ არ დავაფინანსებთო! **ეს დანაშაულია. ეს არის ასაკობრივი დისკრიმინაცია, რომელიც პარლამენტმა გააუქმა და ადამიანთა უფლებების დამცველებს მივმართავთ ამის გამო.**

განათლების მინისტრი თ.სანიკიძე – ბატონო თეიმურაზ, რა საერთო მაქვს მე ამ დისკრიმინაციასთან?

– თქვენ არა გაქვთ ამასთან კავშირი, მე გაწვდით ზუსტ ინფორმაციას. თქვენ პირადად, მადლობა ღმერთს, რომ არა გაქვთ კავშირი. თქვენ რომ გქონოდათ, მაშინ არც გამოვიდოდი და არც ვილაპარაკებდი ამაზე, მაგრამ თქვენი თანამშრომელი ეუბნებოდა ამას. სხვათა შორის, მეორე თანამშრომელმა შენიშვნა მისცა კიდევ, შენ რას ლაპარაკობო! მაგრამ, ხომ მისცეს ეს შენიშვნა? ხომ არის ასეთი განწყობილება თქვენთან, სამინისტროში? რომ არ დავაფინანსებთ, წარმოგიდგენიათ, ის ადამიანები უნდა ამოვიღოთ თურმე.

მეორე **– რას ნიშნავს ასეთი დაფინანსება? ეს ნიშნავს, რომ მუდმივი საშტატო ერთეული არ იქნება; ეს ნიშნავს იმას, რომ 5 წლის მერე (თუ 5 წლით დააფინანსეს),** მორჩება ეს საკითხი. ერთ თემას დავაფინანსებთო (ისე სიტყვაზე ვამბობ, შეიძლება იყოს 3 ან 2), დანარჩენები წავლენ სახლშიო. გვესმის რა არის პროგრამული დაფინანსება? ჩვენ მოვითხოვთ, ტერმინში კი არ არის საქმე, როგორ გვესმის ეს, ჩვენ გვესმის ეს სხვადასხვანაირად – **პროგრამული დაფინანსება არის პროგრამული დაფინანსება და საბაზო დაფინანსება ნიშნავს იმას, რომ მუდმივი შტატი იქნება.** მუდმივ შტატზე მუდმივი ადამიანი კი არ უნდა იყოს, 4 წლის მერე, 5 წლის მერე კონკურსის შედეგად შეიძლება შეიცვალოს ადამიანი, მაგრამ ის შტატი დარჩება. **პროგრამული წესით დაფინანსების პირობებში, მერწმუნეთ, 20 წელიწადში და 10 წელიწადში კი საქართველოში ახალგაზრდობა აღარ მოვა მეცნიერებაში,** რად უნდა ამას ლაპარაკი.

ამაზე თუ ვილაპარაკებთ, მადლობის მეტი არაფერი არ გვეთქმის მინისტრისადმი.

გმადლობთ ყურადღებისთვის.

გონიერება გვმართებს, რათა საბედისწერო შეცდომები აღარ დავუშვათ

ნაახალწლევს საქართველოს ტელევიზიის I არხზე გამოსვლისას სახელმწიფო მინისტრმა პ.ზაქარეიშვილმა განაცხადა, საქართველოს კონფლიქტების მოგვარების „გასაღები“ ყოველთვის თბილისში იყო და ქართველები მას სხვაგან (მოსკოვში, ან კიდევ სადმე..) ვეძებდითო?!.. ახლაც, ეს „გასაღები“ თბილისშიაო... მან აგრეთვე ბრძანა, ჩვენ, ანუ საქართველოს მთავრობა, რომელსაც მინისტრი ზაქარეიშვილი წარმოადგენს, მათ, აფხაზებს და ოსებს ვთავაზობთ, ევროპულ არჩევანს, ევროპულ კონტექსტს, ევროპის და არა რუსეთის მეშვეობით შეთანხმებასო, რუსეთის „ჩართულობა“ სულაც არ გვჭირდებაო და მისთანები... ზაქარეიშვილის მიხედვით, თუ აფხაზებსა და ოსებთან ქართველების კონფლიქტების „გასაღებები“ მუდამ თბილისში იყო, მაშინ გამოდის, რომ ქართველები ყველაფერში მტყუანები ვართ მათთან მიმართებაში და ისინი კი, ყველაფერში მართლები! ანუ, სოხუმი და ცხინვალი ამ კონფლიქტების, როგორც საწყის, ისე შემდგომ ეტაპებზე იყვნენ ქართველების „მსხვერპლნი“, რადგანაც „გასაღები იყო“ თბილისში?! ზაქარეიშვილის ამ „გასაღებში“ იგულისხმება კონფლიქტის თავიდან აცილების, არ დაწყების, მოგვარება-მოლაპარაკებების შესაძლებლობა, რომელიც თბილისმა, ანუ ქართველებმა არ გააკეთეს, არ გამოიყენეს და აგრესიის გზას დაადგნენ?! დიახ, ზაქარეიშვილის ამ ლოგიკას, სწორედ თბილისი, ანუ ქართველები გამოჰყავს დამნაშავეებად ამ კონფლიქტებზე „მსჯელობისას“! ახლა, რაც შეეხება ზაქარეიშვილისეულ ახალ მიგნებას, აფხაზებსა და ოსებს ვთავაზობთ — „მხოლოდ“ ევროპული შეთანხმების კონტექსტში მოხდეს კონფლიქტების მოგვარება და რუსეთის „ჩართულობა ზედმეტიაო“? რა არის იცით, მართლა ხომ არ „ბნელა“? მინდა გითხრათ, რომ არც ერთი ოფიციალური შეხვედრა, რომელიც ევროპაში და ამერიკაში გამართულა ცნობილი პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური ანალიტიკოსების მონაწილეობით, არ დამთავრებულა ისე, სადაც არ გახმიანებულიყო რეკომენდაცია, რათა საქართველოს ხელისუფლებას აუცილებლად დაერეგულირებინა ურთიერთობა რუსეთთან, თავის მხრივ დასავლური პოლიტისტებლიშმენტი მზად იყო ხელი შეეწყო ჩვენთვის ამ საქმეში! მაგალითები უამრავია!

გარდა ამისა, ზაქარეიშვილმა ბრწყინვალედ იცის, რომ სოხუმსა და ცხინვალში გადწყვეტილების მიმღები არც ერთი პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენელი (სეპარატისტულ ოფიციოზზე აღარას ვამბობ..), რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ნების გარეშე ვერანაირ აქტივობას ვერ გამოავლენს! რა, ზაქარეიშვილი მათთაგან სინდისზე აგდებს ვინმეს? რა, ზაქარეიშვილმა არ იცის განა, თუ როგორ წარმოიშვა საქართველოს ამ რეგიონებში სეპარატიზმი და რამდენი ათეული წელი უძღოდა წინ ამ კონფლიქტების „მომწიფებას“?! განა, აფხაზი და ოსი გაბედავდა რუსის წაქეზების და დახმარების გარეშე, დაპირისპირებოდა თბილისს, რომელშიც, „თურმე, კონფლიქტის გასაღები დევს“?! არა, აქ სხვა რაღაცაშია საქმე, უფრო სწორედ, საქმის არ ცოდნაში, „სულ ცოტა“, სხვა არაფერი მინდა ვიფიქრო...

საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობილი სეპარატისტის ბორის ჩოჩიევის ინტერვიუ, სადაც იგი ზაქარეიშვილს „ურჩევს“ და ამბობს შემდეგს: **„მე მას და მის მომხრეებს ვურჩევდი, რომ სამინისტროს სახელწოდება კი არ უნდა შეცვალონ, არამედ იფიქრონ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებაზე“,** — აი, ასე, არც მეტი და არც ნაკლები!.. ჩოჩიევი იმასაც გვიმხელს, თუ როგორია მათი გეგმები, რაც ზაქარეიშვილის „სტრატეგიას“ ურუსეთოდ ამ პრობლემების გადაწყვეტისა, საერთოდ უარგუმენტოდ ტოვებს. ჩოჩიევი „თავის სტილში“ განაგრძობს: **„ჩვენი სტრატეგიული ინტერესი და ჩვენი მიზანი არის სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის აღდგენა, საქართველოს აგრესიული სვლების დასრულება, ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანება და დიდებულ რუსეთის ფედერაციაში დაბრუნება,** რომელიც მუდამ გვიცავდა ჩვენ ყოველგვარი მტრისგან“. დიახ, ახლა რას გვეტყვით “ზაქარეიშვილისტები“? რა, მაინცადამაინც სეპარატისტი ჩოჩიევის დახმარება გჭირდებათ, რომ მიხვდეთ იმას, თუ ვინ არის “მთავარი“?!..

საქართველოში თუ ვინმეს ჰგონია, რომ ჩოჩიევის მიერ გახმოვანებული ეს პოზიცია დამახასიათებელია მხოლოდ სეპარატისტების მეთაურებისათვის, ძალიან ცდება, რადგანაც ასე ფიქრობს აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ მოსახლე — აფხაზების და ოსების უდიდესი უმრავლესობა! მეტიც, ისინი რუსეთს ოკუპანტად კი არა, ქართველებისგან „განმათავისუფლებლად“ თვლიან და უაღრესად მადლიერები არიან რუსების! ჰოდა, მოდით ამის შემდეგ ზაქარეიშვილის „სტრატეგიის“ იწამეთ რამე, რომელიც მხოლოდ აფხაზებთან და ოსებთამ დიალოგის იმედად არის, რის შემდეგაც, მათ თურმე „მოუნდებათ“ ერთიან საქართველოში დაბრუნება?! ზაქარეიშვილი უარყოფს იმის საჭიროებას, რომ საქართველომ რუსეთთან მოლაპარაკების შედეგად, მოსკოვის შუამავლობით შეძლოს აფხაზების და ოსების დათანხმება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე!..

საქართველოს ამ მხარეებში, სწორედ რუსეთია ავტორი და შემომქმედი აფხაზურ-ოსური სეპარატიზმისა, აქედან გამომდინარე, — ვინც შექმნა აფხაზეთში და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ სეპარატიზმის კერები და ათეულობით წელი კვებავდა მას, ვინც ამზადებდა შესაბამის კადრებს, ვინც აყალბებდა ამ კუთხეების ისტორიას და ვინც თესავდა ეთნიკურ შუღლს ჩვენს ხალხებს შორის, ვინც სამხედრო დახმარება გაუწია და ომი „მოაგებინა“ სეპარატისტებს, ვინც მათი „დამოუკიდებლობა აღიარა“, ვინც ეკონომიკურად და ფინანსურად 100%-იან დახმარებას უწევდა და უწევს, და ბოლოს, ვინც ავლებს მავთულხლართებს, აფიქსირებს „საზღვრებს“ და ყოველ წუთს მზადაა, ამ რეგიონებში განთავსებული სამხედრო ბაზების მეშვეობით დაიცვას აფხაზების და ოსების „დამოუკიდებლობა“ საქართველოს „თავდასხმისაგან, — განა, სწორედ ამ ოკუპანტ რუსეთთან არ უნდა აწარმოოს საქართველოს ხელისუფლებამ მოლაპარაკებები??!! აბა, ისე როგორ წარმოუდგენია ზაქარეიშვილს დეოკუპაცია და გამთლიანება, თუ ოკუპანტს არ ესაუბრები?! თუ გგონიათ ვინმეს, რომ ერთხელაც, ცუდ ხასიათზე გაიღვიძებენ რუსები და თავისით გავლენ ამ რეგიონებიდან?!

ორ კვირაზე ნაკლები რჩება სოჭში ოლიმპიადის დაწყებამდე. მიმაჩნია, რომ საქართველოს ოლიმპიურმა გუნდმა მონაწილეობა უნდა მიიღოს სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში და ამით, უწინარესად პატივი სცეს საერთაშორისო ოლიმპიურ ქარტიას! მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიური თამაშების მასპინძელი სახელმწიფო არის რუსეთის ფედერაცია, რომელთანაც საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტილი აქვს, ამის მიზეზი კი გახლავთ რუსეთის მიერ ჩვენი ორი რეგიონის „დამოუკიდებლობის აღიარება“ და ოკუპაცია, საქართველომ მაინც უნდა გამოიჩინოს კეთილი ნება და მიიღოს მონაწილეობა ამ ოლიმპიადაში!. სანამ ქვეყნის ოლიმპიური სპორტული ნაკრები გაემგზავრება ოლიმპიურ შეჯიბრებაზე, მანამ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს სპეციალური განცხადება, რომელშიც გარკვევით იქნება გადმოცემული ქართული მხარის პოზიცია, როგორც სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობასთან, ისე რუსულ-ქართული ურთიერთობების მოწესრიგებასთან დაკავშირებით, რომლის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი გახლავთ, რუსეთის მიერ საქართველოს ორი რეგიონის „დამოუკიდებლობის აღიარება“! დარწმუნებული ვარ, პოზიტიური იქნება, თუ საქართველოს მთავრობის ამ განცხადებაში ხაზი გაესმება საქართველოს ხელისუფლების მზადყოფნას და სურვილს, რათა თავის მხრივ ხელი შეუწყოს და ყველანაირად დაეხმაროს მეზობელ რუსეთის ფედერაციას ოლიმპიადის ღირსეულად და უსაფრთხოდ ჩატარების საქმეში! მით უმეტეს, რომ რუსეთის ფედერაციის სოჭის რეგიონი უშუალოდ ესაზღვრება საქართველოს, კონკრეტულად აფხაზეთის რეგიონს, რომელსაც ჯერჯერობით ვერ აკონტროლებს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება და აქ იმყოფებიან რუსული საოკუპაციო ჯარები... განცხადებაში უნდა ითქვას, რომ საქართველოს ხელისუფლება არ კარგავს იმედს, რომ ურთიერთგაგების და ორმხრივი კეთილი ნების შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია, საფუძველი ჩაეყაროს კეთილმეზობლურ და მეტიც, მეგობრულ სახელმწიფოთაშორისო ურთიერთთანამშრომლობას, რომელიც დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენამდე მიგვიყვანს და იგი დაეფუძნება ჩვენი სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობის პრინციპს, მასში მცხოვრები ყველა ხალხის, ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვას, მათი თვითმყოფადობის შენარჩუნებას! საქართველოს ხალხს და მის ხელისუფლებას მიაჩნია, რომ სოჭის ზამთრის ოლიმპიადა, რომლის მასპინძელია მეზობელი რუსეთის ფედერაცია და რომლის უსაფრთხო და მაღალ დონეზე ჩატარებაში დაინტერესებულია მეზობელი საქართველო, შეიძლება გახდეს ახალი, კონსენსუსზე და კომპრომისზე დამყარებული ურთიერთინტერესების გათვალისწინების დასაწყისი, რომელიც ყოველგვარი წინაპირობების წაყენების გარეშე, ბიძგს მისცემს ორმხრივი პრობლემების ყოვლისმომცველი მოგვარების შეუქცევად პროცესებს.

უკანასკნელ ხანს გახშირდა სხვადასხვა ვერსიის გახმოვანება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი შეიძლება გახდეს საქართველოს მიმართ რუსეთის ქმედებები სოჭის ოლიმპიადის შემდეგ და რა ზემოქმედების საშუალებები აქვს რუსეთს ჩვენს წინააღმდეგ. უწინარესად, ეს საკითხი განიხილება რუსეთის მხრიდან საქართველოსთვის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის ხელშეშლის ჭრილში...

ოფიციალურ თუ არაოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით, საინფორმაციო საშუალებებით, უკანასკნელ ხანს გახშირდა სხვადასხვა ვერსიის გახმოვანება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი შეიძლება გახდეს საქართველოს მიმართ რუსეთის ქმედებები სოჭის ოლიმპიადის შემდეგ და რა ზემოქმედების საშუალებები აქვს რუსეთს ჩვენს წინააღმდეგ. უწინარესად, ეს საკითხი განიხილება რუსეთის მხრიდან საქართველოსთვის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის ხელშეშლის ჭრილში... ერთნი მიიჩნევენ და ვფიქრობ მწარედაც ცდებიან, რომ რუსეთს საქართველოზე ზეწოლის ბერკეტები ამოწურული აქვს, მათი აზრით, რუსეთის მიერ საქართველოს 2 რეგიონის „დამოუკიდებლობის აღიარება“ არის ის მაქსიმუმი, რისი „გაკეთებაც“ რუსეთს საქართველოსთვის შეეძლო... მეორენი კი თვლიან, რომ საქართველოს წინააღმდეგ რუსეთს კიდევ აქვს რაღაც ბერკეტები, მაგრამ ევროპის და ამერიკის უარყოფით რეაგირებას მოერიდებიან და ამიტომ სერიოზულ გართულებებს არ ელიან. მხოლოდ, კარასინი-აბაშიძის მიერ მიღწეული გარკვეული წარმატებების შესაძლო შეჩერება-შეფერხებას არ გამორიცხავენ...

თავის მხრივ, საქართველოს სეპარატისტული რეგიონების წარმომადგენლებიც აკეთებენ პროგნოზებს და განცხადებებს. ასე მაგალითად, **ცხინვალში დარეგისტრირებული და მოქმედი პოლიტგაერთიანება „ერთიანი ოსეთი“ გამოდის ინიციატივით და მოუწოდებს დე ფაქტო ცხინვალის ადმინისტრაციის „პრეზიდენტს“ თიბილოვს, რომ წელს ივნისში „საპარლამენტო არჩევნებზე“ საარჩევნო ბიულეტენებში შეიტანონ ასეთი შეკითხვა, — „თანახმა ხართ თუ არა, „ორი ოსეთის, სამხრეთის და ჩრდილოეთის გაერთიანების“?!.. ოსი სეპარატისტების ეს მოწოდება არახალია, თუმცა, არ გასულა რამდენიმე დღე და ცნობილმა სეპარატისტმა მედოევმა, რომელიც ცხინვალის „ელჩია“ მოსკოვში, განაცხადა, რომ ასეთი მიზანი „ოფიციალური“ ცხინვალის გეგმებში არ არისო... ანუ, „ვილაცამ გვაჩვენა“, თუ რა და რისი „გაკეთება“ კიდევ შეუძლიათ.. რა თქმა უნდა, რომ ყველა ეს „განცხადება“ იწერება სხვაგან, ხოლო ახმოვანებენ ადგილობრივი „პოლიტიკოსები“...** ეს, რაც შეეხება ე.წ. „სამხრეთ ოსეთს“... **აფხაზეთში სხვა სიტუაციაა, იქ, არავისთან „გაერთიანებაზე“ საუბარი არ არის და არც ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ... შარშან, სოხუმში „სტუმრობის“ შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი დსთ-ში და აფხაზეთ — „სამხრეთ ოსეთში“, ვლადისლავ სურკოვი, მოგვიანებით ცხინვალსაც ეწვია და ჩვენთვის საინტერესო განცხადებები გააკეთა... მან, აფხაზეთთან და „სამხრეთ ოსეთთან“ მიმართებაში განსხვავებული შინაარსის გზავნილები გაახმოვანა, კერძოდ, სურკოვი „თანხმობის ტოლფასი დუმილით შეხვდა“ აფხაზეთის შესაძლო გაწევრიანებას „საბაჟო კავშირში“, რომელსაც რუსეთი აყალიბებს ყაზახეთთან, ბელორუსთან, სომხეთთან და დსთ-ს სხვა წევრებთან ერთად... მაგრამ, სურკოვმა ცხინვალში ყოფნისას კატეგორიულად უარყო იმის შესაძლებლობა, რომ „სამხრეთ ოსეთიც“ გაწევრებულიყო „საბაჟო კავშირში! მეტიც, სურკოვმა ისიც კი თქვა, რომ „სამხრეთ ოსეთში“ — „სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების“ საშუალებები და შესაძლებლობები არ არისო, მას ალბათ, უწინარესად ამ ჩვენი რეგიონის მდებარეობა ჰქონდა მხედველობაში (ირგვლივ ქართული რაიონები და ერთი „გასაძრომი გვირაბი“ რუსეთში, მოკლედ, შუაგული საქართველო!)!** ადრეც ვაფრთხილებდი ჩვენს ხელისუფლებას, რომ ვლადისლავ სურკოვის „გამოჩენა“ ჩვენს სეპარატისტულ და ოკუპირებულ მხარეებში, უკვალოდ არ ჩაივლიდა, ახლაც ასე ვფიქრობ და მიმაჩნია, რომ საჭიროა მასთან, ანუ რუსეთთან კონტაქტზე გასვლა, აბაშიძე-კარასინის ფორმატის გაფართოების გზით, ისე რომ ჟენევის ფორმატი შენარჩუნდეს, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე!..

სხვა ქართველი პოლიტიკოსებისა თუ ანალიტიკოსებისაგან განსხვავებით, „რომანტიკოსი ოპტიმისტი“ ვერ ვარ იმასთან დაკავშირებით, რომ განვაცხადო, — „რუსეთი“ ვერ გაბედავს, ვერ გააკეთებს, ვერ შეძლებს“ და ა.შ., იმ ყველაფრის ამოქმედებას, რაც რუსეთისთვის სასურველ შედეგს მოიტანს, პირიქით, რუსეთი და მისი ერთმმართველი პრეზიდენტი პუტინი, ყველაფერზე წავლენ, თუკი რუსეთის „სტრატეგიული ინტერესები“ არ იქნება დასავლეთის მიერ გათვალისწინებული — კავკასიის სუბრეგიონში! მით უმეტეს, რომ სამხედრო ბაზები აქვს ჩვენს სეპარატისტულ რეგიონებში და „ნაღიარები“ აქვს მათი „დამოუკიდებლობა“ და ვინმეს ჰგონია, რომ იგი ამას არ გამოიყენებს?!

იხ. 7 გვ.

რა იქნება ხვალ?

უკრაინის მოვლენების კვალდაკვალ

მონოტონურად დაწყებული 2014 წელი, ისეთი დინამიზმით გამოირჩევა, სწრაფი რეაგირებისა და დასკვნების გაკეთების შესაძლებლობასაც არ იძლევა. მიუხედავად ამისა, „ცდა ბედის მონახევრეას“ - პრინციპიდან გამომდინარე, შევეცდები საკუთარი სუბიექტური მოსაზრება გაგანდოთ.

ჩემი მცდელობა სულაც არ არის გამიზნული, სუბიექტური მოსაზრება ობიექტურად მოგაჩვენოთ – უბრალოდ ფაქტებზე დაფუძნებულ მოსაზრებას გაგანდობთ, დასკვნები კი თავად გააკეთეთ.

ჩემის შეხედულებით, 2014 წელს დასავლეთ-აღმოსავლეთის კულტურული დაპირისპირება ისეთ ფაზაში შევა, კულისებს გასცდება და საერთაშორისო პოლიტიკურ სცენაზე გადმოინაცვლებს. ერთი-ორად გააქტიურდება ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსებასთან დაკავშირებული რუსეთ-ამერიკის დაპირისპირება; აშშ-ევროკავშირსა და რუსეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ-პოლიტიკური კინკლაობა, რასაც უკრაინის ძძიმე საკითხიც დაემატება; სირიის ომი და აქედან გამოწვეული პრობლემები; ირანის თემა და წინასწარი ხელშეკრულების პუნქტების შესრულებისთვის ორივე მხრიდან (ირან-დასავლეთის) გადადგმული ნაბიჯებით გამოწვეული ვნებათა ღელვა; ჩინეთის და მისი მეზობელი ქვეყნების დავა ტერიტორიულ საკითხებთან დაკავშირებით და სხვა.

აღნიშნული საკითხებიდან ზოგიერთი პირდაპირ თუ არა, ირიბად საქართველოზეც იმოქმედებს, მათ შორის გამოვყოფდი უკრაინას – ჩვენი ქვეყნის პარტნიორ ქვეყანას. უკრაინის შიდა პოლიტიკური დაპირისპირება კარგა ხანია მიმდინარეობს. განსაკუთრებული სიმძაფრე მან ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შეიძინა, როდესაც აშშ-სა და ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი იუშჩენკო-ტიმოშენკოს ხელისუფლებამ კრახი განიცადა. ხელისუფლების სათავეში მისული ვიქტორ იანუკოვიჩი არც არასდროს სარგებლობდა დასავლეთის მხარდაჭერით. იქ იანუკოვიჩს „კრემლის კაცად“ აღიქვამდნენ.

იანუკოვიჩი, ვითარების შესაცვლელად, შეეცადა ვაშინგტონ-ბრიუსელის მუსიკაზე ცეკვას, რამაც იანუკოვიჩი და უკრაინა დღევანდელ მდგომარეობამდე მიიყვანა. ცნობილმა გამოთქმამ - „ის ჯარისკაცი ჯარისკაცი არ არის, ვინც გენერლობაზე არ ფიქრობს“ - პირდაპირი გავლენა იქონია იანუკოვიჩზე, რაც არ არის გასაკვირი, რამეთუ იშვიათად მოიძებნება პოლიტიკოსი, მით უმეტეს პრეზიდენტი, რომელიც მეორე ვადით გაპრეზიდენტებას არ შეეცდება.

იანუკოვიჩის გაპრეზიდენტების სურვილი ნამდვილად არ იმსახურებს კრიტიკას ან საყვედურს, მაგრამ ევროკავშირის გზით გაპრეზიდენტება მრავალ კითხვას სვამს. უპირველესად ასეთს – ევროკავშირთან დაახლოებული უკრაინა შეძლებს ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას?

თანამედროვე უკრაინელი პოლიტიკოსებისთვის ევროკავშირში გაწევრება ლამის სამოთხეში მოხვედრად აღიქმება. იუშჩენკო, ტიმოშენკო, იაცენიუკი, თუ სხვა ნებისმიერი პოლიტიკოსი, მათ შორის იანუკოვიჩიც ევროპას ხატად მიიჩნევდნენ და მიიჩნევენ, რაც სუბიექტური და არა ობიექტური მიზეზებით არის გამოწვეული. სუბიექტური კი ნიშნავს საკუთარი პოლიტიკური პოზიციების გამტკიცებას, ხელისუფლებაში ყოფნას, ხელისუფლების სათავეში მოქცევას და იმ დავალებების უყოყმანო შესრულებას, რასაც ვაშინგტონ-ბრიუსელი მოითხოვდა და მოითხოვს უკრაინისგან.

მაგრამ რუსეთი? ქვეყანა, რომელთანაც უკრაინას ბევრი რამ აკავშირებს? თუ იუშჩენკო-ტიმოშენკოს ხელისუფლება იოლად დაეთანხმა დასავლურ წინადადებებს და ვაშინგტონის კარნახით თვალი დახუჭა ექსტრემისტი უკრაინელების ანტირუსულ გამოსვლებზე, იანუკოვიჩი დაფიქრდა, ვინაიდან ულტრანაციონალისტური ქმედება წააგავდა გასული საუკუნის ორმოციანი წლების უკრაინელი ნაციონალისტების ქმედებას.

მისთვის ნაკლებად სასიამოვნო იყო იმჟამინდელი ლიდერების სახელებისა და საქმეების აღორძინება, ულტრანაციონალისტების მასობრივი დემონსტრაციები და ზღვარსგადასული მოწოდებები.

იანუკოვიჩი დაფიქრდა, მაგრამ მხოლოდ. რადიკალური ქმედებისთვის მას არ მიუმართავს, ისე, როგორც ევროპას. ეს უკანასკნელი, ყოველგვარი რეაქციის გარეშე, შეჰყურებდა უკრაინელი ნაციონალისტების გამოსვლებს. პირიქით, ევროპას გულში უხაროდა კიდევაც, ვინაიდან უკრაინელი ულტრანაციონალისტების პირველი სამიზნე რუსები და რუსეთი იყვნენ.

და დაიწყო იანუკოვიჩის გაურკვეველი მოგზაურობა ბრიუსელ-მოსკოვს შორის. ორჭოფობამ დაძაბა ვითარება და უკრაინის ოპოზიციას, ერთობ სუსტს და ულიდეროდ დარჩენილს, ახალი სული შთაბერა. ვილნიუსის სამიტი იყო ის, რამაც წინ წამოსწია უკრაინის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ევროკავშირის ასოცირებული წევრობის დოკუმენტზე ხელის მოწერა უკრაინისთვის ნიშნავდა უმუშევრობას, ქარხანა-საწარმოების დახურვას, სოციალური პირობების გაუარესებას, საბოლოო ჯამში რევოლუციას, იანუკოვიჩის დამხობას.

ევროკავშირს თავშიც არ გაუვლია უკრაინისთვის საკომპენსაციო მილიარდების გამოყოფა, რომც ეფიქრა, ვერ შეასრულებდა თვით ეკონომიკურ კრიზისში მყოფი. უკრაინის ჩავარდნილი ეკონომიკის ამოსაწევად იანუკოვიჩმა მოსკოვს მიმართა, რომელმაც უკრაინის ხელისუფლების ორპირობის მიუხედავად, დახმარების ხელი გაუწოდა უკრაინას. უკრაინამ ხელი არ მოაწერა ვილნიუსის დოკუმენტს, მაგრამ სიხარულით მიიღო მოსკოვის მიერ მიცემული დახმარება, რამაც გააცოფა ამერიკა-ევროპა და დაიწყო ახალი ანტირუსული კამპანია, იანუკოვიჩისა და მისი ხელისუფლების გავლით.

კვლავ უხვხალხიანად გადაიქცა კიევის მოედნები. ანტისამთავრობო გამოსვლებმა და მიტინგებმა ახალი დასავლური დაფინანსება მიიღეს, ისე, როგორც მორალური დახმარება. აშშ-მა და ევროკავშირმა ყველაფერი იღონეს იანუკოვიჩისა და მისი ხელისუფლების საწინააღმდეგო ფართომასშტაბიანი მოძრაობის გასაშლელად - აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ნულანდის მიერ კიეველი პროტესტანტებისთვის ფუნთუშების ჩამორიგებით დაწყებული, მსუყე ფინანსების მიცემით დამთავრებული, რომ აღარაფერი ვთქვათ ანტისამთავრობო პროპაგანდაზე.

დასავლეთმა მთელ მსოფლიოს გააგებინა, ვინ არის უკრაინის „სისხლისმღვრელი“ პრეზიდენტი იანუკოვიჩი. ესეც თქვენი დასავლური „სინამდვილეზე“ აგებული უკრაინული ამბავი.

იანუკოვიჩი კი დუმს, ისე, როგორც მოკრივის სავარჯიშო „მსხალი“, რომელსაც გამეტებით ურტყამენ ულტრამარჯვენე ყმაწვილები რკინის ჯოხებს, ქვებს, ესვრიან ცეცხლმოდებულ ბენზინისა და ნავთის ბოთლებს და ა.შ.

მაინც სადამდე უნდა აცემინოს უკრაინის პრეზიდენტმა

და მთავრობამ მილიციელები? სადამდე უნდა იდგნენ ისინი უმოქმედოდ ცეცხლმოკიდებული საბურავების ალყაში? ერთ დღესაც რომ ხელი ჩაიქნიონ და განწირული უმოქმედობის ნაცვლად სხვა გადაწყვეტილება მიიღონ, ანუ პროტესტანტთა მხარეზე გადავიდნენ? გადავიდნენ კიდევაც. ოთხმა „ბერკუტელმა“, პროტესტის ნიშნად, დატოვა „ბერკუტის“ რიგები.

იანუკოვიჩი დუმს. ზოგს ჰგონია, რომ დუმილით ის დიდ ტაქტიკურ სვლას აკეთებს - ღლის დემონსტრანტებს. დაიღლებიან ყვირილით, ქვების სროლით, „ბერკუტისა“ და მილიციელების ცემით და ჩაწყნარდებიან. ჩაწყნარდებიან? დასავლეთი ჩააწყნარებს?

არამც და არამც. დასავლეთმა რახანია დიდი ფული ჩადო უკრაინის რევოლუციაში და ესოდენ კულმინაციურ მომენტში უკან დაიხევს? ოპოზიციური სამეული - კლიჩკო, იაცენიუკი, ტიაგნიბოკა, ისე არიან აღზნებული, მარტო ვადამდელ არჩევნებს თუ დათანხმდებიან. დასავლეთი კი კატეგორიულად ითხოვს იანუკოვიჩის მიერ ხელმოწერილი კანონების გაუქმებას. სწორედ იმის, რასაც წესრიგი უნდა აღედგინა უკრაინის დედაქალაქში. ანტიბუმანური კანონებიაო – აცხადებს დასავლეთი, არადა, ზუსტად იმის მსგავსია, რაც კარგა ხანია მოქმედებს ევროპა-ამერიკაში.

უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა და დასავლეთის დამოკიდებულებამ უნებლიედ არ შეიძლება არ გაგახსენოთ თბილისში, პოლიციის მიერ, პარლამენტის შენობის წინ მომიტინგეთა უმოწყალო დარბევა და მასთან ერთად აშშ-ის აშკარა მხარდაჭერა საკაკაშვილის ხელისუფლებისთვის. ამერიკელთა მაშინდელი ქცევა აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩვენს „მეგობარ“ ამერიკას ქართველი მომიტინგეები სულაც ფეხებზე ეკიდა, ვინაიდან ისინი საქართველოს პროამერიკული ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

რაც შეეხება უკრაინელ მომიტინგეებს, ისინი პრორუსული იანუკოვიჩისა და მისი ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძვიან, ამდენად მათ „სამართლიან“ საქმეს უჭერს მხარს ამერიკა. მას არ აინტერესებს უწესრიგობა, არეულობა, სისხლისღვრა. მას აინტერესებს ხელისუფლების დამხობა. აშშ-ის პოზიციას უკრაინასთან მიმართებაში მკაცრად აკრიტიკებს კატოს ინსტიტუტის (Cato institute) ყოფილი თანამშრომელი **დუგლას (დუგ) ბანდოუ** ჟურნალ „ფორბსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით „უკრაინაში ნარინჯისფერი რევოლუცია ბრუნდება?“

საინტერესოა, როგორ მოიქცეოდა ამერიკის ადმინისტრაცია, მის წინააღმდეგ რომ ისე ამხედრებულიყვნენ ულტრარეაქციული ძალები, როგორც უკრაინაში? აღადგენდა წესრიგს, თანაც ისე, როგორც კანონით არის გათვალისწინებული - იმის მსგავსით, უკრაინამ, რომ მიიღო. აღადგენდა მთელი სიმკაცრის დაცვით, რკინის ხელით, ტანკებითა და მახვილით და არა უაზრო ლოდინითა და მაზოხიზმით, რაც უკრაინაში ხდება.

გახსოვთ ალბათ, როდესაც ეგზალტირებულმა ჩინელმა ახალგაზრდებმა – დასავლური „ბაცილით“ დაავადებულებმა, რევოლუციის მოწყობა გადაწყვიტეს პეკინის ტიანანმენის მოედანზე, რეფორმატორმა დენ სიაოპინმა ტანკებით „დააშოშმინა“ მათი მოჭარბებული „ტემპერამენტი“. ბევრი იჟივჟივა დასავლეთმა. იჟივჟივა და გაჩერდა. სხვა მეტი რაღა უნდა ექნა უზარმაზარი ჩინეთის საწინააღმდეგოდ?

ტიანანმენმა დღემდე იმოქმედა და კარგა ხანს იმოქმედებს. მან გადაარჩინა ჩინეთი დაშლას და დეგრადაციას, პერმანენტულ რევოლუციებს და ყოველივე საშინელებას. ან ავიღოთ მოსკოვის „ბოლოტნაიას“ არეულობა, ვინ იცის, რა შეიძლება მოჰყოლოდა მას, პუტინს რომ სწრაფად და მკაცრად არ ემოქმედა. უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს რუსეთის მოქალაქეები შეშფოთებით უყურებენ, თან ფიქრობენ, რომ არა ხელისუფლების სწრაფი რეაგირება, ხომ შეიძლება უკრაინული სცენარით განვითარებულიყო „ბოლოტნაია“?

დასავლეთის წყალობით, სამი წელიწადია არაბულ ქვეყნებს მშვიდი ცხოვრების საშუალება აქვთ მოსპობილი, მაგრამ აწუხებს ეს ვინმეს ვაშინგტონში ან ბრიუსელში?

იანუკოვიჩი კი დუმს. ეს დუმილი ძვირად შეიძლება დაუჯდეს, როგორც მას, ისე ქვეყანას. უკვე არის მსხვერპლი და არავინ იცის, ვინ დგას ამ მკვლელობის უკან. თუმცა, გამოძიებით დადგინდა, რომ მკვლელობა სანადირო თოფით განხორციელდა. მილიციას რომ სანადირო თოფები არა აქვს?

წინასწარ დასკვნების გაკეთება ჭეშმარიტების დადგენას ხელს არ შეუწყობს, მაგრამ დაცვაში ჩამდგარ უკრაინის მილიციას, მომიტინგეთა საბრძოლო ტყვიებით „გამასპინძლება“ რომ ნდომოდა, არა 2 (ოფიციალური მონაცემებით), არამედ 5-ზე (არაოფიციალური მონაცემებით) მეტი დაიღუპებოდა.

დავოსში, მსოფლიოს ეკონომიკურ ფორუმზე ჩასულმა უკრაინის პრემიერ-მინისტრმა აზაროვმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა - უკრაინაში არსებული რეაქციული ძალები ცდილობენ არჩეული ხელისუფლების დამხობას და ამისთვის ძალისმიერი გზით იკავებენ ადმინისტრაციულ შენობებს, ხელს უშლიან ხელისუფლებას მუშაობაშიო. მან ისიც თქვა, რომ სამწუხაროდ, რეაქციულ ძალებს დიდ დახმარებას უწევენ ქვეყნის გარედან.

თუ ვინ - კარგადაა ცნობილი. თვალი გადაავლეთ ბოლოდროინდელ პრესას, აშშ-ის უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლების განცხადებებს, მუქარას, უკრაინის ხელისუფალთა მიმართ, იანუკოვიჩის მთავრობის დაგმობას - მშვიდობიანი მიტინგების წინააღმდეგ ძალის გამოყენებისთვის.

არადა, შებრუნებით ვითარებასთან გვაქვს საქმე. კიევის მიტინგები რახანია გასცდა მშვიდობიანი მანიფესტაციის ჩარჩოებს და უკიდურესი აგრესიული სახე შეიძინა.

რომ იტყვიან, ყველაფერს აქვს საზღვარი, მაგრამ ვაშინგტონისა და ბრიუსელის პოლიტიკოსთა ქმედებას საზღვარი არა აქვს.

დიახ! მათ არ სურთ იანუკოვიჩის ლეგიტიმური ხელისუფლება.

დიახ! მათ სურთ მისი დამხობა და პროდასავლური პოლიტიკოსებით ჩანაცვლება. ამისთვის ისინი უკან არ დაიხევენ, ვინაიდან იანუკოვიჩის გაგდებით, დიდი გეოპოლიტიკური საკითხი გადაიჭრება – რუსეთის ხელისუფლებას წყალი შეუდგება.

უკრაინის „ნარინჯისფერი რევოლუცია-2“-ის მიზანი მოსკოვის ორბიტიდან უკრაინის მოწყვეტა და დასავლეთისთვის მიერთებაა. გარდა ამისა, პუტინის მიერ ჩამოყალიბებული ერთიანი საბაჟო კავშირის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი შეტევაა. დასავლეთი კატეგორიული წინააღმდეგია არა მარტო საბაჟო კავშირის, არამედ ევრაზიული სივრცის შექმნის. მან კარგად იცის, რომ უკრაინის გარეშე ამ სივრცის არსებობა გაჭირდება.

უკრაინის გადაბირებით, ევროკავშირს, რუსეთთან საზღვარი აღმოსავლეთით გადააქვს. ეს პროექტი ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებით უნდა განხორციელებულიყო. არ გამოუვიდათ. მის ნაცვლად, რუსეთის ისტორიულმა „კეთილისმსურველმა“ ქვეყნებმა – შვედეთმა და პოლონეთმა ახალი პროექტი, „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ შეიმუშავეს. პროექტით, ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა უკრაინა, მოლდოვა, კავკასიის ქვეყნები და ბელორუსი (ამ უკანასკნელთან, ლუკაშენკოს წყალობით არაფერი გამოსდით) ევროკავშირის ასოცირებული წევრები გახდებიან, რითაც ასცდებიან საბაჟო კავშირში შესვლას.

და როდესაც უკრაინის პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა გამოთქვა თავისი მოსაზრება ორივე კავშირთან თანამშრომლობის თაობაზე, ევროკავშირმა კატეგორიული უარი განაცხადა - ან ევროკავშირი, ან საბაჟო კავშირიო. იანუკოვიჩმა არც ერთი აირჩია და არც მეორე. ორჭოფულ პოზიციაზე დადგა, რითაც ისარგებლა დასავლეთმა და უკრაინის ოპოზიციის, ექსტრემისტული ძალების გამოყენებით, პერმანენტული მიტინგები აუგორა ოფიციალურ კიევს.

რომ იტყვიან, რისკი კეთილშობილური საქმეა, თუმცა, იანუკოვიჩმა ვერ გარისკა, ვინაიდან არ ისურვა ევროკავშირთან ურთიერთობის გაუარესება, არც ოპოზიციასთან დაპირისპირება ისურვა. ის მომავალი წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ფიქრობდა და ამ ფიქრს, დღევანდელი პოლიტიკური სტაბილურობა გადააყოლა. ძნელია იმის განჭვრეტა, როგორ დასრულდება მომავალი წლის საპრეზიდენტო არჩევნები ან შეძლებს თუ არა მასში მონაწილეობას იანუკოვიჩი?

დღევანდელობით თუ ვიმსჯელებთ, მისი პოზიციები სერიოზულად არის შერყეული. გარდა ამისა, ვინ იცის, იქნებ ოპოზიციამ დაიყოლიოს პრეზიდენტი ვადამდელ არჩევნებზე? და თუ ეს მოხდა, იანუკოვიჩის დამარცხება გარანტირებულია, ისე, როგორც ოპოზიციის გამარჯვება. ყოველივე ამას კი დიდის გულმოდგინებით ხელს შეუწყობს ვაშინგტონ-ბრიუსელი.

თუ ეს მოხდა, მოსკოვის გეოპოლიტიკური თამაში მარცხით დასრულდება, და მასთან ერთად დაიწყება ახალი შეტევა რუსეთის ხელისუფლებაზე. გააქტიურდება აშშ-ის მიერ დაფინანსებული რუსული არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობა. გამძაფრდება ანტირუსული პროპაგანდა. კვლავ წინა პლანზე გადმოინაცვლებენ ნემცოვები, კასიანოვები, კასპაროვები, სხვები და სხვები და დაიწყება რუსეთის შიდა დუღილი, „ბოლოტნაიას“ მსგავსი და უარესიც.

რა შეიძლება მოჰყვეს პუტინისა და რუსეთის ხელისუფლებისთვის ამ ერთობ არასასიამოვნო სცენარს? კარგი არაფერი. კბილებამდე შეიარაღებული ბირთვული სახელმწიფოს შფოთი რომ უდიდეს თავისტკივილს გამოიწვევს მსოფლიოში, ცხადია. მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ არეულობა ჩვენზეც იმოქმედებს და იმოქმედებს მძიმედ, სერიოზულად.

საბწუხაროდ, ქართულ პოლიტიკას, უპირველესად, ჭარბი გამოუცდელობით, საერთაშორისო საკითხებში ჩაუხედავობით, ჰგონია, რომ რუსეთის შიდა დუღილი, დაქუცმაცება, საქართველოს არ შეეხება. არ შეეხება იმიტომ, რომ საქართველო ღმერთისა და ევროკავშირ-აშშ-ის წილხვედრი ქვეყანაა.

ცდება! და თანაც სერიოზულად, ისე, როგორც ყოველთვის, დამოუკიდებლად არსებობის 23 წლის განმავლობაში. ცდება, როგორც უკრაინის საკითხთან მიმართებაში. მხოლოდ შემცდარი გააკეთებს ისეთ დასკვნებს, როგორც საქართველოს ხელისუფლება. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დოკუმენტი, უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით, ამის ნათელი მაგალითია.

დოკუმენტის მიხედვით, ორი სახელმწიფოს ხელისუფლების (უკრაინის და რუსეთის) მიმართ გამოთქმული მოსაზრება სცდება ნორმალური დიპლომატიური ენის ჩარჩოებს და ერთს (უკრაინას) – ადანაშაულებს საკუთარი ხალხის მიმართ მკაცრი ზომების გამოყენებაში, სოლო მეორეს (რუსეთს) ძალისმიერი გზით უკრაინელი და ქართველი ხალხების ევროპული გზიდან ჩამოშორების მცდელობაში. კაცმა რომ თქვას, უკრაინის დოკუმენტში, რა შუაშია საქართველო და მისი დასავლეთისკენ სწრაფვა?

არც ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში უკრაინის მოვლენებს იმდენ ყურადღებას არ უთმობენ, როგორც საქართველოში. რით არის ეს გამოწვეული? რით არის გამოწვეული ის ისტერია, რაც ქართულ მედიაშია - დამთავრდება სოჭის ოლიმპიადა და რუსეთი გადაგვივლისო? რა დგას ამ მართლაც და ვაი პროპაგანდის უკან? უპირველესად, რუსეთის მიმართ ქართული საზოგადოების ზომაზე მეტად ნეგატიურად განწყობა.

ახალი ხელისუფლების დროს შეიცვალა რამე ამ მხრივ? არც არაფერი. რუსეთის პირდაპირი თუ ირიბი ლანძღვა გრძელდება და ამ „საშურ“ საქმეს ისევ ნაციონალები თავობენ. სწორედ მათი ინიციატივა იყო პარლამენტის განცხადების მიღება, თანაც მეორედ. რომ იტყვიან, სამგლე გოჭებივით ვართ ატეხილი, თანაც დაიმედებული – თუ რამე მოხდება, ვაშინგტონი დაგვეხმარება. დაგვეხმარება, ისე, როგორც 2008 წელს. ჯერჯერობით სხვა დახმარებას ის ვერ გაგვიწევს. რა იქნება შემდეგ, ვინ იცის?

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

სპეციალობები, რომლებიც წინა ხელისუფლებამ არაპრესტიჟულად და „მომაკვდავად“ აქცია

ხელისუფლების სათავეში მოსულმა საზღვარგარეთული კოლეჯების დონეზე განათლებამიღებულმა ნაციონალებმა თავიდანვე იწყეს სპეციალობების რანჟირება, პრესტიჟულებად და ნაკლებად პრესტიჟულებად დაყოფა. ამან შემდგომში, სპეციალისტების დასკვნით, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია, არა მხოლოდ სხვადასხვა დარგის განვითარებაზე, არამედ ამ სპეციალობათა ახალი კადრებით დაკომპლექტებაზე. განათლების სფეროს მუშაკთა აზრით, ბევრი ღვაწლმოსილი, დიდი დამსახურებისა და გამოცდილების მქონე მუშაკი ჩრდილში მოექცა. ახალგაზრდებით დაკომპლექტებულმა ხელისუფლებამ აქცენტი აიღო პრაქტიკულად გამოცდილებას მოკლებულ, მაგრამ უცხო ენებსა და კომპიუტერთან გაშინაურებულ კადრზე. პროფესიონალიზმი აღარავის აინტერესებდა.

სხვადასხვა დარგისადმი ამ უმეცარმა მიდგომამ ასახვა შემდგომ წლებში ჰპოვა. ექსპერტების განმარტებით, ჰოლანდიის პროფესიათა თეორიის მიხედვით, ადამიანები პროფესიებს მხოლოდ იმის მიხედვით ირჩევენ, რაც მათ ინტერესს, მისწრაფებას, აგრეთვე ბუნებასა და ხასიათს შეესაბამება. საქართველოში სიტუაცია კი სულ სხვაგვარადაა. ჩვენთან არსებობს მოთხოვნადი და ნაკლებად სასურველი პროფესიები. ის სამუშაო ადგილების რაოდენობით, ანაზღაურებითა და პრესტიჟულობით განისაზღვრება. ახალგაზრდები, სხვის მაგალითზე დაყრდნობით, არჩევანს თავისებურად აკეთებენ. სწავლობენ იმას, რომლითაც შემდგომ დასაქმების მეტი შანსი აქვთ.

მიუხედავად წინა ხელისუფლების დიდი მცდელობისა, ჩაეძირათ, „ჩაერეცხათ“ მთელი რიგი დარგები, მათზე საზოგადოების მხრიდან მოთხოვნილება კვლავაც დიდია. ერთ-ერთი ასეთ სპეციალობად მიჩნეულია ფსიქოლოგია, განსაკუთრებით ბავშვთა ფსიქოლოგია. როგორც ფსიქოლოგი ნინო შერეზადაშვილი ამბობს, დღეს პრაქტიკულად ბავშვთა ფსიქოლოგები თითზე ჩამოსათვლელი გვყავს. ეს კი, წინა ხელისუფლებასთან ერთად, გარკვეულწილად ჩვენი მენტალიტეტის „დამსახურებაცაა“. მშობელს ჰგონია, რომ ბავშვი ფსიქოლოგთან მხოლოდ იმ შემთხვევაშია მისაყვანი, თუ იგი თავს ცუდად გრძნობს, ანუ მისი გადახრები თვალში მოსახვედრია. ის კი ცოტას თუ ესმის, რომ პატარა დროგამოშვებით მისაყვანია ფსიქოლოგთანაც და ფსიქიატრთანაც, – ამბობს შერეზადაშვილი. ზოგიერთ ბავშვს დეფექტების თვალნათლივი გამოვლენა არა აქვს, მაგრამ იგი ხდება გულჩათხრობილი, გაურბის თანატოლებთან კონტაქტებს, ჩაკეტილია თავის თავში... ასეთი პატარა ხშირად ხდება მისივე ასაკის ბავშვებისაგან ათვალისწუნების, დაცინვის, ხშირად ფიზიკური ზემოქმედების ობიექტი. ამგვარი ბავშვი მოზარდობისას უფრო ეული ხდება. მასზე უფრო მტკივნეულად მოქმედებს გარშემო შექმნილი სიტუაცია. იგი ყველა წყენას გულში იკლავს, ხდება ზოგადად საზოგადოებაზე „დაბოღმილი“ პიროვნება.

ჩვენთან მოსაუბრე ამ კონდიციამდე მოზარდის მიყვანის სხვა პირობებსაც ასახელებს – ეს არის ოჯახური გარემო. მისი დათრგუნვა პატარობიდანვე იწყება არასრულფასოვანი ოჯახური გარემოს გამო. მას ბევრი რამ აკრძალული აქვს, რაც მისი თანატოლებისათვის ნებადართული და დასაშვებია. მშობელთა მხრიდან აკრძალვები ხშირად ფიზიკური ძალის უხეში გამოყენებითაც ხდება. შედეგი იგივეა, რაც წინა შემთხვევის დროს. კარჩაკეტილობა, გარიყულობის შეგრძნება, მოზარდობის პერიოდში განურჩეველი ზიზღი ნებისმიერი გარშემო მყოფისადმი. საბოლოოდ საზოგადოება ღებულობს ერთი შეხედვით ფიზიკურად სრულყოფილ პიროვნებას, სინამდვილეში კი დეპრესირებულ, გარშემომყოფთადმი მტრულად განწყობილ ადამიანს, რომელსაც თუ ოდნავი საშუალებაც კი მიეცემა, ყველა იმ ბავშვობაში ჩაკლული გრძნობის, ვნების ამოქმედებას შეეცდება, რამაც მასში პატარობის პერიოდში ასახვა ვერ ჰპოვა. ჩამარხულ აგრესიას იგი ნებისმიერი პიროვნებისადმი ავლენს, თუ კი ეს მას ძალუძს. აგრესიულობა კი ბევრად უფრო მძაფრია, ვიდრე მის მიმართ იყო ოდესმე გამოვლენილი, – გვიხსნის ფსიქოლოგი და უდიდეს კატასტროფად მიიჩნევს თუ ამგვარ ბავშვობაგამოვლილთა ჯგუფი შეიკრება და მას შეეძლება ვინმეს მიმართ საკუთარი ძალის გამოვლენა. მათ შეეძლებათ ადამიანის წამების არნახული გზები გამოიგონონ. ჩვენ, – ამბობს რესპონდენტი, ამას, „ბავშვობაში ჩარჩენილის“ სინდრომით მოვიხსენიებთ, როდესაც ბავშობაში აუხდენელ ოცნებასა და სურვილებს ზრდასრულობის პერიოდში ისრულებენ.

დავუბრუნდეთ დაწყებულ თემას – პროფესიებს. ხელისუფლების რანჟირების მეთოდს მოჰყვა დეფიციტური პროფესიების გაჩენა, ამტკიცებენ სპეციალისტები და ერთ-ერთ ამგვარ დარგად პედაგოგიკას ასახელებენ. მათი გადმოცემით, დღევანდელ შრომის ბაზარზე ამ სფეროს წარმომადგენლები სრულფასოვნად (წინა ხელისუფლების დროს საერთოდ არა) არ არიან დაფასებული, აქვთ დიდი დატვირთვა და პასუხისმგებლობა, აგრეთვე ძალიან დაბალი ხელფასები. ამის გამო დღეს მასწავლებლობა აღარავის არ უნდა. კვალიფიციურ კადრებს სკოლაში მიზერულ ხელფასზე ყოფნას ურჩევნიათ კერძოდ მუშაობა. თუ ტენდენცია შენარჩუნდა – გვიმტკიცებენ განათლების სფეროს მუშაკები, სავალალო შედეგს მივიღებთ – სკოლებში პროფესიონალი პედაგოგები აღარ გვეყოლება. მაშ ვინ უნდა გაზარდოს ნაცების მიერ პრესტიჟულ დარგებად შერაცხილი პროფესიის სპეციალისტები, მოამზადოს კადრები? – კითხულობენ სპეციალისტები.

იმ დროს, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი სიდუხჭირეში ცხოვრობს, სპეციალისტები სვამენ კითხვას, რომელ პროფესიაზეა ყველაზე ნაკლები მოთხოვნილება იმ პირობებში, როდესაც ბევრი უმაღლესდამთავრებული სამუშაოს ვერ პოულობს თავისი განათლების მიხედვით. დეფიციტურ პროფესიებად მიჩნეულია ანთროპოლოგია, ფსიქოლოგია, არქეოლოგია, ფილოლოგია, აგრონომია და ბევრი სხვა. მაგრამ არსებობს კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში მყოფი დარგები – ქიმიურ-ტექნოლოგიური, საგზაო, მეტალურგიული და სხვები, რომლებიც მუდმივად განიცდიან კადრების დეფიციტს. მცირე ანაზღაურებისა და ნაკლები პრესტიჟულობის გამო ახალგაზრდებს არ სურთ ამ პროფესიების დაუფლება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები კი ქართველ ექსპერტებსა და სპეციალისტებს სხვა რამდენიმე სფეროსთან ერთად შეყვანილი ჰყავთ ე. წ. „გადაშენების პირას მდგარ“ პროფესიათა შორის.

გამოსავალს სპეციალისტები, ექსპერტები, განათლების სფეროს მუშაკები იმაში ხედავენ, რომ სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გამოიკვლიოს ნაკლებად სასურველი პროფესიები და სათანადო ყურადღება მიაქციოს, იზრუნოს მათ პოპულარიზაციაზე. დღეისათვის ჩატარებული კვლევებით ახალგაზრდებისთვის ყველაზე მიმზიდველი პროფესიებია იურიდიული, ფარმაცია, საბანკო-საფინანსო, ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯერი), ტურიზმის (გიდი) სპეციალობები.

როგორც ხელისუფლებაში აცხადებენ, დასაქმების სტრუქტურაზე მუშაობა უკვე დაწყებულია. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით, შრომის ბაზრის მოთხოვნის პარალელურად სამსახურის მაძიებელთა ბაზაც შეიქმნება. დასაქმების სტრატეგიის მიხედვით დადგინდება, რა სპეციალობაზეა მოთხოვნები და ქვეყანას რა რესურსები აქვს. სერგეენკოს განმარტებით, მათ ვისაც ისეთი პროფესია აქვთ, რომელზეც არაა მოთხოვნილება, უფასოდ გადაამზადებენ მოთხოვნად სპეციალობებზე. თუმცა, საზოგადოების დიდი ნაწილი სახელმწიფოსგან არა გადამზადებას, არამედ უმაღლესი სასწავლებლების და შრომითი ბაზრის რეფორმირებას მოითხოვს.

საქმეში ჩახედული ხალხის დასკვნით, უნდა მოხდეს შრომის ბაზრის თავიდან ბოლომდე გადახარისხება და მოწესრიგება. წინააღმდეგ შემთხვევაში დაგვიდგება დღე, როდესაც უმაღლესდამთავრებულთა შორის ნამდვილი ფიზიკოსი, პედაგოგი და სხვა წინა ხელისუფლების მიერ არაპრესტიჟულად მიჩნეული დარის სპეციალისტი თითო-ოროლა გვეყოლება. სამაგიეროდ უმაღლესის დიპლომიანი, მრავლად კი გვეყოლება, მაგრამ მათგან აბსოლუტური უმრავლესობა უმუშევარი იქნება – იურისტები, ეკონომისტები და ნაციონალური ხელისუფლების მიერ პრესტიჟულის სტატუსმინიჭებული სპეციალისტები – ამბობენ ექსპერტები. ისინი იმედს გამოთქვამენ, რომ ახალი ხელისუფლება მაინც გაითვალისწინებს მათ რჩევებს.

ზაზა ბილიხოძე

◎ ალიან-ჩალიანი

მანდატურებს ბნელი ძალები აქეზებენ...

მანდატურები მათი სამსახურის სკოლის დაქვემდებარებაში გადასვლას აპროტესტებენ. როგორც სკოლის მანდატურებმა პრესკონფერენციაზე აღნიშნეს, ისინი მიმართავენ პარლამენტს, რათა პარლამენტმა გადახედოს და შეცვალოს მანდატურების სკოლაზე დაქვემდებარების გადაწყვეტილება.

როგორც ერთ-ერთმა მანდატურმა მადონა ჯიოშვილმა აღნიშნა, ისინი მათი სამსახურის, როგორც ცალკე სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონირების გაგრძელებას მოითხოვენ. ამასთან, მისივე თქმით, მათი მოთხოვნაა, საინიციატივო ჯგუფს განათლების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური შეხვდეს.

როგორც მადონა ჯიოშვილმა განმარტა, დეკემბრის თვეში მანდატურის მოვალეობის შემსრულებელმა 140-მა პირმა კონკურსი გაიარა, 6 იანვარს კი მათ განუცხადეს, რომ უფლებამოსილება დროებით შეჩერებული ჰქონდათ, მოგვიანებით კი მანდატურებმა შეიტყვეს, რომ 31 დეკემბერს გამოცემული ბრძანების საფუძველზე, მათ შრომითი ხელშეკრულება შეუწყდათ ხელშეკრულების ვადის ამოწურვის გამო. მანდატურები აცხადებენ, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანება 140-მა მანდატურმა მიიღო, რომელსაც ხელს მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი კილაძე აწერს. მათივე ინფორმაციით, გუშინ, ყველა 1500-მა მანდატურმა სკაიპის მეშვეობით მიიღო შეტყობინება, რომ სამართველო გაუქმდა და მანდატური 3 თებერვლიდან დირექტორს დაექვემდებარება.

ამასთან, როგორც ერთ-ერთმა მანდატურმა ლია შუბითიძემ აღნიშნა, პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ ივანე კიღურაძემ მათ ჯაშუშები უწოდა. მისივე თქმით, ივანე კიღურაძე მისი პედაგოგი იყო. „მე მინდა, ბატონმა ვანომ პასუხი აგოს ამ სიტყვის გამო და იფიქროს ესე იგი იგი ჯაშუშად გამზარდა? ჩემი პედაგოგი იყო, რას მასწავლიდა, ჯაშუშობას? სისტემის გამო, ჩვენ არ უნდა დავისაჯოთ“, – აღნიშნა ლია შუბითიძემ.

ამასთან, განათლების სამინისტრომ განცხადება გაავრცელა, რომ მანდატურის სამსახური არ უქმდება.

მანდატურის სამსახურის უფროსის შალვა დაშნიანის განცხადებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე მანდატურის სამსახურის თანამშრომლებს შეხვედრას სთავაზობს.

როგორც დაშნიანმა განათლების სამინისტროსთან მიმდინარე მანდატურის სამსახურის თანამშრომლების აქციის მინაწილეებს განუცხადა, თამარ სანიკიძის ინიციატივაა, რომ შეხვედრა მანდატურის სამსახურის დეპარტამენტში, ალექსიძის ქუჩაზე გაიმართოს.

შალვა დაშნიანის თქმით, სამინისტროსგან წამოვიდა ინიციატივა, რომ შეხვედრას 50 მანდატური უნდა დაესწროს.

თავად მანდატურების თქმით კი, ისინი უარს აცხადებენ შეხვედრაზე. როგორც აქციის მონაწილეები აღნიშნავენ, თამარ სანიკიძე არა 50 თანამშრომელს, არამედ ყველას უნდა შეხვდეს.

აზიის განვითარების ბანკი მნიშვნელოვან პროექტებს გვიფინანსებს

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლებს შეხვდა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს„ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან აცნობეს.

სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე განხილული იქნა მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის საკითხები.

„აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საქართველოში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება, მათ შორის, თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა. აღნიშნული მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოები გაზაფხულიდან დაიწყება. პროექტს განახორციელებს ჩინური კომპანია „სინოჰიდრო კორპორეიშენ ლიმიტედი„, რომელმაც აიღო ვალდებულება, საქართველოს მოქალაქეები დაასაქმოს.

ინტერპრესი

გონიერება გვმართებს, რათა საბედისწერო შეცდომები აღარ დავუშვათ

(ბოლოხე გვერდიდან) ქართულ საზოგადოებას მინდა შევახსენო, ხოლო ხელისუფლებას მოვუწოდო, რომ ეს სულ გვახსოვდეს, რასთან და ვისთან გვაქვს საქმე, გამომდინარე აქედან ვიმოქმედოთ ისე, – საბედისწერო შეცდომები აღარ დავუშვათ!.. დიახ, „ცხინვალური“ ეს განცხადებები, – „ორი ოსეთის გაერთიანებაზე“ – რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, ზუსტად ეხმიანება იმ განცხადებას, რომელიც ჯერ კიდევ 2006 წელს გააკეთა პუტინმა... – ციტატა, ჟურნალ „შპიგელიდან“: **„-გერმანიაში ვიზიტისას, რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ როგორც გერმანელი ერი გახდა მსხვერპლი მეორე მსოფლიო ომის შედეგების (გერმანიის ომისშემგომი გაყოფა ჰქონდა მხედველობაში, გფრ-ად და გდრ-ად!), ასევე, ოსი ერი არის მსხვერპლი საბჭოთა კავშირის დაშლის, რის შედეგადაც ოსეთის „ჩრდილოეთი“ და „სამხრეთი“ სხვადასხვა ქვეყნების (რუსეთის ფედერაცია, საქართველო) შემადგენლობაში აღმოჩნდა. პუტინმა, ოს ხალხს „გაყოფილი“ ხალხი უწოდა, ხოლო მათ მისწრაფებებს „გაერთიანებისკენ – გასაგები“!!.. მისი ერთ-ერთი ბოლო განცხადებაც ვოლგოგრადის ტერაქტების შემდეგ ამაზე მეტყველებს, როცა „ვიღაცებს“ დაემუქრა, რომ რუსეთი ამის პასუხად „ახლო აღმოსავლეთის რუკას შეცვლის“... გონიერება გვმართებს, რომლის დეფიციტს, აგერ უკვე 20 წელზე მეტია განიცდის ქართული პოლიტიკური „კლასი“...**

ხელისუფლების მხრიდან, ზედაპირული და საგანგაშოა იმის განცხადება, რომ – „რუსეთი ამაზე მეტს რას გააკეთებს, როცა ჩვენი ტერიტორიის 20% ოკუპირებული აქვსო? გამოდის, რომ სამთავრობო გუნდი, ვინც დაკავებულია საგარეო და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხებით, ვერ ხედავს იმ საშიშროებას, რომელმაც შეიძლება შეუქცევადი გახადოს ჩვენი 2 რეგიონის, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საქართველოსგან საბოლოოდ ჩამოშორების საკითხი?! თუ რუსეთთან დროულად დიალოგი არ გავმართეთ და მხოლოდ ვიმეორეთ სამთავრობო დონეზე, რომ – „საქართველოს დეოკუპაციის შემდეგ, ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან მოგვარდებაო“.. – მაშინ, **დიდია ალბათობა, რომ რუსეთი საქართველოზე ზემოქმედების დამატებით ბერკეტებს აამოქმედებს... რუსეთი განაახლებს აფხაზეთის „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესს“ (მისი „აღიარებების“ გაგრძელება, მათ მოპოვებაში ხელის შეწყობა და სხვა), „საბაჟო კავშირში“ შეიყვანს მას, „ევრაზიულ“ კავშირში შემდგომი გაწევრების მიზნით!.. ხოლო, „სამხრეთ ოსეთის“ მიმართ რუსეთის გეგმა უფრო „მარტივია“, რეფერენდუმის ჩატარების საფუძველზე „გაყოფილი ოსი ხალხის და ორი ოსეთის გაერთიანება“ – მისი „მიღება“ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში!.. ეს თუ მოხდა, მაშინ ყოველივე დამთავრებულია და რუსეთის შემდგომმა პრეზიდენტმაც „ჩარხის უკან დატრიალება“ რომც მოინდომოს, ეს შეუძლებელი იქნება, განსხვავებით დღევანდელი სიტუაციისა, როცა კიდევ შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება!.. სწორედ, ქვეყნის გამთლიანებისათვის და დეოკუპაციისათვის არის საჭირო რუსეთთან წინსწრებითი დიალოგი („სანამ ურემი გადაბრუნდება“!), ახალი, ალტერნატიული სტრატეგიული ხედვა, თუ არადა, დაგვიანდება ყველაფერი!.. ევროპას „დავუახლოვდეთ“ და ამის ფასად ჩვენი ძირძველი მიწა-წყალი დავთმოთ?! ამას, არც ისტორია, არც წინაპრები, არც თანამედროვეობა და არც მომავალი თაობა – არც ერთ ხელისუფლებას არ აპატიებს!..**

კიევში, პოლიტიკური პროცესები საშიშ ნიშნულს მიუახლოვდა, უკრაინა სამოქალაქო ომის ზღვარზეა, რაც ძალიან დიდი უბედურება იქნება უკრაინელი ხალხისთვის. თუ ეს მოხდება, უკრაინა ვერ შეინარჩუნებს ვერც ეროვნულ და ვერც ტერიტორიულ მთლიანობას, ეს კი უმძიმესად აისახება საქართველოზეც!.. ევროკავშირთან პარაფირება-ასოცირებაში არ არის საქმე, ეს საბაბ-მიზეზია... მსოფლიო გლობალური, გეოსტრატეგიული, სამხედრო-პოლიტიკური, საფინანსო-ეკონომიკური, დემოგრაფიულ-რელიგიური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა პროცესები დაჩქარდა, ამ პროცესებში მთავარი მოქმედი „პირები“ არიან – აშშ, ევროკავშირი, რუსეთი და ჩინეთი, დანარჩენი სუბიექტები მეორეხარისხოვანია, ყველა თვალსაზრისით და მათ შორის „შერკინების ცენტრი“ დღეს აღმოსავლეთ ევროპაა, უკრაინა, მისი დედაქალაქი კიევი... მსოფლიო ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი (ათეულ მილიონობით დაღუპული ადამიანი) და მასშტაბური 1-ლი და მე-2 მსოფლიო ომებია, ისინი სწორედ ევროპის კონტინენტზე დაიწყო და ევროპელებმა დაიწყეს!.. დღეს კი, ევროპელი „მამები“ თავს „იწონებენ ცივილიზებულობით“ და ჭკუას ასწავლიან დანარჩენ მსოფლიოს, თანამედროვე ეტაპზე, ყოველივე ამის „შეფუთვა“ და ტესტი ასეთია – **დემოკრატია თუ ავტორიტარიზმი?!** თუმცა, სრულყოფილი და შეუცვლელი არც ერთი არ არის, ანუ – გაუმჯობესებას და გაუარესებას ორივე ექვემდებარება. ამის მწარე გამოცდილება არსებობს, სამწუხაროდ... ევრო-ატლანტიკური დასავლეთი, თავისი სხვადასხვაგვარი პრობლემებით, კაცობრიობის „მოწინავე ლეგიონად“ ითვლება რუსეთთან და ჩინეთთან შედარებით, მაგრამ, „ჩამორჩენილი ლეგიონების“ - რუსეთის და ჩინეთის თანამონაწილეობის გარეშე, მსოფლიოს არცერთი გლობალური პრობლემა არ წყდება!.. ხოლო, დასავლეთსა და რუსეთს შორის, სამხედრო ბირთვული ბალანსის გაუთვალისწინებლობა, წარმოშობს მსოფლიო გლობალური კატასტროფის საფრთხეს, რასაც ურთიერთგანადგურების საშიშროებიდან გამომდინარე არც ერთი მათგანი არ დაუშვებს!.. ჰოდა, ამ გიგანტების მხრიდან, სხვა ყველანაირი პოლიტიკური ინსინუაციები არის იაფფასიანი პიარი, რომელიც ემსახურება მასების და ქვეყნების მართვას, რათა მათ სასარგებლოდ მიღწეულ იქნას სხვადასხვა სახის სტრატეგიული და ტაქტიკური მოკლე ან გრძელვადიანი მიზნები!.. მთავარი პერსონები აქ დასავლეთი და რუსეთია... დასავლეთის მთავარი „კოზირი“ უკრაინაში, ამ ქვეყნის დასავლეთ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობაა... რუსეთის ასევე მთავარი „კოზირი“ უკრაინაში გახლავთ უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონების მოსახლეობა, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება რუსეთის ფედერაციას, აგრეთვე, ყირიმის ნახევარკუნძული, ქ.სევასტოპოლი და იქ ბაზირებული რუსეთის შავი ზღვის ფლოტი... ვფიქრობ, რომ შეთანხმება უნდა მოხდეს (უკრაინის, როგორც სახელმწიფოს სუვერენიტეტის „პატივისცემის“ პირობებში), რადგან რუსეთს უკანდასახევი არა აქვს, როგორც უკანდასახევი არ ჰქონდა აშშ-ს „კარიბის კრიზისის“ პერიოდში!. თეორიულად, არსებობს იმის საშიშროება, რომ გლობალური დაპირისპირების თვალსაზრისით, – „კიევური კრიზისი“ 60-იანი წლების „კარიბის კრიზისს დაემსგავსოს“, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ამას არ დაუშვებს არც ამერიკა და არც რუსეთი, მათ ამის გამოცდილება აქვთ და იციან „ყოველივე ამის ფასი“!.. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ მე ვცდები, მაშინ, რუსეთის **მხრიდან სამხედრო ჩარევას არ გამოვრიცხავ, რადგანაც, რუსეთი უკრაინას და მის დედაქალაქს „უცხოეთად“ არ აღიქვამს! რუსებისთვის, სწორედ კიევის რუსეთიდან („კიევსკაია რუს“) იწყება „დიადი“ რუსეთი, ამიტომ, შეიძლება რუსული ტანკები ვიხილოთ კიევში, როგორც ეს ბუდაპეშტში და პრაღაში მოხდა გასულ საუკუნეში, თუმცა, ამ მაგალითებისგან განსხვავებით, რუსებს „უკან დასახევი“ არა აქვთ, რადგან მიაჩნიათ, რომ დღეს კიევშია – „პოლტავაც, ბოროდინოც, სტალინგრადიც“! იქ, კიევში – „მათ უკან მოსკოვია“!..** დასავლეთის და რუსეთის „კიევური დაპირისპირება“, ყველაზე მწვავე და დრამატული სსრკ-ს დაშლის შემდეგ!!..

ჯუმბერ კირვალიძე,
პოლიტოლოგი

საქმე №1/307-2013

საარბიტრაჟო განჩინება

შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

29 იანვარი 2014 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: გიორგი ოქროსაშვილი

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინების მიღების საკითხი და

გამოარკვია:

შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2013 წლის 11 დეკემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელი მოპასუხის გიორგი ოქროსაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, რომ 2013 წლის 20 ივნისს ერთის მხრივ შპს „ნოვა კრედიტსა“ და მეორეს მხრივ, გიორგი ოქროსაშვილს შორის დაიდო სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება №061391807, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა“ მოპასუხეზე გასცა 1060 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 6 თვე.

ხელშეკრულების თანახმად სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. კერძოდ ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს ავტომანქანა – საუგეოტ 206, რომლის მახასიათებლებია: ტრანსპორტის გამოშვების წელი – 2001; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №VF32HNFUF41396131.

საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო გრაფიკით შემოსატანი თანხის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება და გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე გიორგი ოქროსაშვილს ორჯერ გაეგზავნა სარჩელში მითითებულ და მისი რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილის მისამართზე, ქ. თბილისში, ქვიშხეთის ქ. 5, ბინა 78-ში, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართზე არ იმყოფებოდა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე გიორგი ოქროსაშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე გიორგი ოქროსაშვილი რეგისტრაციისა და ამავდროულად მის უკანასკნელ საცხოვრებელ მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით საარბიტრაჟო ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს განჩინება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით,

დაადგინა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინებით მოპასუხე გიორგი ოქროსაშვილს (პირადი №01001024278) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. გიორგი ოქროსაშვილს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე გიორგი ოქროსაშვილს ეცნობოს, რომ 2014 წლის 28 თებერვალს 12:00 საათზე შ.პ.ს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია მთავარი საარბიტრაჟო სხდომა შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელზე – სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით გიორგი ოქროსაშვილის მიმართ.

5. გიორგი ოქროსაშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხეს მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე განჩინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო განჩინებაზე სარჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ქართველი „მრეწველები“ არაევროპული ხმით ალაპარაკდნენ

საქართველოს „ლუდის მეფეს“ ეჭვი ეპარება ევროკავშირთან შეთანხმების ხელმოწერის მიზანშეწონილობაში

ბავლენიანმა პარტიამ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობისგან მოითხოვა, გამოაქვეყნოს ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების ტექსტი, რომლის პარაფირებაც შარშან ნოემბერში მოხდა. ქართველი „მრეწველების“ აზრით, დოკუმენტმა შეიძლება ადგილობრივი მწარმოებლების ინტერესები შებღალოს.

„ისინი ხალხისგან მალავენ შეთანხმებას. ჩვენ კი ხომ გვაქვს უფლება ვიცოდეთ, თუ რა არის მასში ჩაწერილი“, — განაცხადა პარტიის დამფუძნებელმა, საქართველოს ერთ-ერთმა ყველაზე წარმატებულმა მეწარმემ გოგი თოფაძემ, რომელსაც ხშირად ქვეყნის „ლუდის მეფეს“ უწოდებენ. მისი სიტყვებით, დოკუმენტში, რომელიც პარაფირებული იყო ვილნიუსის სამიტის დროს, თუმცა ჯერ კიდევ არ არის თარგმნილი ქართულ ენაზე, **„შეიძლება იყოს მომენტები, რომლებიც დეტალურ შესწავლას მოითხოვენ. ამავე დროს ბატონმა თოფაძემ მიუთითა მეზობელი აზერბაიჯანის გამოცდილებაზე, რომელმაც „არ მოაწერა ხელი შეთანხმებას ევროკავშირის პირობებზე“.**

ევროპაში ქართულად

საქართველოში არჩევნებზე კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის გამარჯვება და მიხეილ სააკაშვილის გუნდის საბოლოო წასვლა არ იქნება კატასტროფა ამ ქვეყნისთვის, პირიქით, ხელისუფლების მშვიდობიანმა გადაცემამ შეიძლება თბილისი დაუახლოვოს ევროპას.

გოგი თოფაძის თანამებრძოლმა პარტიიდან, ეკონომიკური პოლიტიკისა და დარგობრივი ეკონომიკის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელმა ზურაბ ტყემალაძემ ჩვენთან საუბარში დაადასტურა, რომ „მრეწველები“ აწარმოებენ მოლაპარაკებას ხელისუფლებასთან ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით. „ისინი დაგვპირდნენ, რომ გადათარგმნიან და გამოაქვეყნებენ დოკუმენტს უახლოესი ორი-სამი კვირის განმავლობაში, — გვაცნობა ბატონმა ტყემალაძემ და დაუმატა: — **ჩვენ არ უარვყოფთ შეთანხმებას, მაგრამ იქ შეიძლება იყოს ვალდებულებანი, რომლებიც საქართველოსთვის მიუღებელია“. აღვნიშნავთ, რომ პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ შედის მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“, რომელიც გამოდის პროდასავლური კურსის გაგრძელების მხარდაჭერით, მათ შორის, ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების მიზნით.**

წყარომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გვაცნობა, რომ რაიმე ცვლილებების შეტანა შეთანხმებაში უკვე არარეალურია. „დოკუმენტი პარაფირებულია, ესე იგი მზადაა ხელმოწერისთვის“, — შეგვახსენა წყარომ. წინა დღით შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა განაცხადა, რომ საქართველოს შეუძლია, ხელი მოაწეროს შეთანხმებას ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ „მიმდინარე წლის აგვისტოში“.

როგორ განსაზღვრა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პრიორიტეტები

საქართველოს ახალმა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელიც პირველად შეხვდა ჟურნალისტებს ფართო ფორმატით, გამოთქვა მზადყოფნა ითანამშრომლობს რუსეთთან სოჭში ოლიმპიადის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და დაგვპირდა გააგრძელოს კურსი ნატოში ინტეგრაციისთვის. მან ასევე არ გამორიცხა ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაკითხვაზე გამოძახება.

Коммерсантъ

თბილისი სამხრეთი ოსეთის სარდინიასთან მეგობრობით უკმაყოფილოა

საქართველოს ხელისუფლება თხოვს რომს, მიაქციოს ყურადღება იტალიის რეგიონის პოლიტიკას, რომელიც ეწინააღმდეგება ევროკავშირის პოზიციას.

სამხრეთი ოსეთის დედაქალაქმა ცხინვალმა და ქალაქ ლანუზეიმ სარდინიაზე ხელი მოაწერეს შეთანხმებას ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ, განაცხადა 28 იანვარს სამხრეთი ოსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა დავით სანაკოევმა. დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერენ მერები ალან ალბოროვი და დავით ფერელი, გაფორმდა სამხრეთი ოსეთის დელეგაციის იტალიაში მოგზაურობის ფარგლებში. ლანუზეის მოსახლეობა — დაახლოებით 6 ათასი კაცია. ცხინვალს იმედი აქვს, გადმოიღოს სარდინიის მცხოვრებთა გამოცდილება მმართველობითს სფეროში, ენერგომომარაგების ტექნოლოგიებში, ხის გადამუშავებისა და ტურიზმის დარგში. მალე დაგეგმილია საპასუხო ვიზიტიც.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 28 იანვრის კომენტარებში აღნიშნულია, რომ იტალია რჩება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერად მის ძველ საზღვრებში. და მაინც თბილისი დიპლომატიური არხებით ცდილობს, რომ რომმა „მიიღოს შესაბამისი ზომები“ სარდინიის ქალაქების ხელისუფლებებთან დაკავშირებით.

— დაბეჯითებით გავუწევთ წინააღმდეგობას ადგილობრივ ხელისუფლებათა თვითმოქმედებას, რომელიც რომთან არ არის შეთანხმებული, — განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს ელჩმა იტალიაში კახა სიხარულიძემ.

საქმე ისაა, რომ ეს არ არის პირველი საწყენი საქმე საქართველოსთვის სარდინიის მხრიდან. შარშან ამ პროვინციის ქალაქი საროკი გახდა აფხაზეთის ქალაქ გაგრის დაძმობილებული. თბილისმა მაშინაც გამოთქვა პროტესტი.

— რეაგირება საჭიროა მკაცრად და ელვისებურად. ვიცი, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ემზადებიან განმარტებისთვის მოიწვიონ იტალიის ელჩი, — უთხრა ჩვენს გაზეთს სტრატეგიულ კვლევათა კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელმა მამუკა არეშიძემ.

2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ საქართველოს მიერ მიღებული კანონით „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ ყველა კონტაქტები გარედან სოხუმთან და ცხინვალთან უნდა განხორციელდეს თბილისისთვის შეტყობინების შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს კონტაქტები არ ითვლება ქმედითად. **მაგრამ გამოყოფილი აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი, რომლებიც აღიარეს რუსეთმა, ნიკარაგუამ, ვენესუელამ, რესპუბლიკა ნაურუმ და ტუვალუმ, იყენებენ ნებისმიერ შესაძლებლობას საერთაშორისო არენაზე გასვლისთვის.** სანაკოევის სიტყვებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგობის მიუხედავად, სამხრეთი ოსეთი აწესრიგებს კონტაქტებს პოლიტიკოსებთან იტალიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში. კერძოდ, სამხრეთმა ოსეთმა და აფხაზეთმა მიმართეს სანმარინოს თხოვნით აღიარების შესახებ.

თბილისიც მეტად აქტიურია ამ დიპლომატიურ ფრონტზე. შარშან საქართველომ მიაღწია ვანუატუს განცხადებას, ყოფილი ქართული ავტონომიების დამოუკიდებლობის აღიარების გაუქმების შესახებ. საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრიმა პაატა ზაქარეიშვილმა ჩვენს გაზეთს განუცხადა, რომ ქართველი დიპლომატები დასავლელ პარტნიორებთან ერთად აგრძელებენ მუშაობას იმ ქვეყნებთან, რომლებმაც აღიარეს აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი, იმედი აქვთ, გადაარწმუნონ ისინი ამ გადაწყვეტილების სისწორეში. კერძოდ ვისთან მიმდინარეობს მუშაობა ამჟამად, სახელმწიფო მინისტრმა არ დააკონკრეტა, რათა პროცესს ხელი არ შეუშალოს.

ИЗВЕСТИЯ

დედამიწის ზურგზე

ფილიპინებზე გაჩაღდა საარმიო ოპერაცია ისლამისტი რადიკალების წინააღმდეგ: დაღუპულია თითქმის 50 კაცი

ქვეყნის ხელისუფლება ამთავრებს მრავალწლიან სამშვიდობო პროცესს „ისლამის გათავისუფლების ფრონტთან“, რომელმაც უარი განაცხადა ბრძოლაზე მუსლიმანული ტერიტორიების გამოყოფის შესახებ კუნძულ მინდანაოზე ავტონომიური რეგიონის შექმნის სანაცვლოდ. მაგრამ სეპარატისტულ განზრახვებს არ ღალატობენ ფრონტიდან გამოყოფილი „ისლამი მებრძოლები ბანგსამოროს თავისუფლებისთვის“. კონფლიქტი მიმდინარეობს ნავთობისა და გაზის საბადოებით უმდიდრეს ტერიტორიებზე.

პონკონგის „უძრაობის პრინცესამ“ მამისთვის გაგზავნილ წერილში უარი განაცხადა იმ მამაკაცებზე, რომლებსაც მამამისი სთავაზობდა ცოლად შეერთოთ ლესბოსელი ქალიშვილი

სესილ ჩაო დარწმუნებული იყო, რომ მისი ქალიშვილი გიგი არის ლესბოსურ ურთიერთობებში, ვინაიდან არ შეუძლია მონახოს შესაფერისი მამაკაცი. იგი ჰპირდებოდა 130 მილიონ დოლარს მას, ვინც შეძლებდა მისი ქალიშვილის ნდობის მოპოვებას. გიგი ჩაომ გადაწყვიტა ყველაფერი აეხსნა ღია წერილით: განაცხადა, რომ მამაკაცები მისთვის არ არსებობენ.

ობამა გამოვიდა კონგრესისადმი „წინასაარჩევნო“ გზავნილით

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა განსაზღვრა თავისი ეკონომიკური პროგრამა უახლოესი ორი წლის განმავლობაში და დაადასტურა პოზიციები ზოგიერთ საგარეო პოლიტიკურ პრობლემასთან დაკავშირებით. კერძოდ, მას განზრახული აქვს, „მისცეს შანსი დიპლომატიას“, მაგრამ ამავე დროს არ აპირებს, „დაიმორცხვოს“ ტერორისტების წინააღმდეგ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით.

სამიგი რუსეთი-ევროკავშირი, რომელსაც „უსახელურო ჩემოდნის“ ბედს უწინასწარმეტყველებდნენ, მოულოდნელად ნარმატებული აღმოჩნდა

პუტინმა ლისაბონიდან ვლადივოსტოკამდე თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის პერსპექტივაზეც კი ისაუბრა, საგონებელში ჩააგდო ევროკომისიის ხელმძღვანელი. ამას გარდა, იგი დაგვპირდა, არ შეცვალოს უკრაინის კრედიტის პირობები, სადაც გადააყენეს აზაროვის მთავრობა, და მიაღწია ევროპისგან, რომ მან რუსეთის გარეშე არ განიხილოს საკითხები აღმოსავლური პარტნიორობის ასოციაციის შესახებ.

„მხედრიონი“ — ბოროტების მხედრობა

მივიდა და დაძახების მოლოდინში შტაბის წინ დადგა, ჭადართან.

17 საათი იქნებოდა, იქ რომ რამაზმა და გელამ ჩაიარეს მანქანით.

ელგუჯას დანახვაზე გააჩერეს და უკუსვლით წამოვიდნენ. გ.ჭიაურელი ცალი ხელით თავისი „მიცუბიშის“ საჭეს მართავდა, ცალით „ფანტას“ სვამდა ბოთლიდან...

მათ დანახვაზე მთვრალი დ.ოთიაშვილი შტაბის შენობიდან გამოიჭრა. ხელში ავტომატი მოემარჯვებინა. თვალებამღვრეული მივარდა უკუსვლით მომგორავ მანქანას და წამი არ დაუხანებია, ტყვია დააყარა.

ყველაფერი მყისიერად მოხდა, თვალის დახამხამება ვერავინ მოასწრო.

მათ სიკვდილში რომ დარწმუნებულიყო, ჩახოცილ ბიჭებს საკონტროლო ტყვიებიც დაახალა.

ასე უღმერთოდ, განსაკუთრებული სისასტიკით დახოცა „მაჭახელამ“ რამაზ ჩალათაშვილი და გელა ჭიაურელი.

მამას თვალწინ მოუკლა შვილი...

არადა ეს ცივსისხლიანი მკვლელი მაშველთა კორპუსის ერთ-ერთი აღიარებული და დაფასებული თავკაცი, რაიონული რგოლის ხელმძღვანელი იყო.

ჩადენილმა ბოროტმოქმედებამ მთელი რაიონი ააღელვა, ოღონდ შიშით ყველას პირში წყალი ჰქონდა ჩაგუბებული...

ამ ამბავს სხვა დასასრულიც აქვს.

შიო ქარჩაიძემ 1994 წლის შემოდგომაზე, როცა გატაცებული ცოლ-შვილი დაიბრუნა, მოტაცების თაობაზე ისეთი რამ შეიტყო, რაც სულ სხვაგვარად წარმოაჩენდა ამ ამბავს.

თურმე ქალბატონ ცისნამი აბალაშვილს (ასე ერქვა შიოს არაოფიციალურ მეუღლეს, თორემ სჯულიერი სხვა ჰყავდა) ფულის შოვნის და ქმრის გამწარების (მოგვიანებით გამოძიებას ჩვენება მისცა, მეზიზღებოდაო) მიზნით, ყველაფერი თვითონ მოუწყვია: დაკავშირებია თავის ახლო მეგობარს, მძღოლ კობა აბესაძეს და ამ გატაცების გეგმა შეუმუშავებიათ. გამტაცებელთა ჯგუფში 9 კაცი გაერთიანებულა.

შიო ის კაცი არ იყო, ასე გაებითურებინათ. როცა ცოლს ყველაფერი ათქმევინა და გამტაცებელთა ვინაობაც შეიტყო, შურისძიებით აღივსო და თავის მეგობარს, „მხედრიონის“ წევრს ნიკოლოზ გედევანიშვილს, ასევე მხედრიონელ ნუგზარ პავლიაშვილს და თავის სიძეს, ადრე განზრახ მკვლელობისთვის მსჯავრდებულ გოჩა მებონიას სთხოვა დახმარება.

23 ნოემბერს მათ თბილისში, რესპუბლიკური ოფთალმოლოგიური და თვალის სნეულებათა ცენტრის ეზოდან იარაღის მუქარით გაიტაცეს კობა აბესაძე, მისი დედა და სიძე. ტყვეები გლდანის მასივში მდებარე მაშველთა კორპუსის სატრანსპორტო ბაზის სარდაფში მიიყვანეს და კობა აბესაძეს ძვალი და რბილი გაუერთიანეს, პირობა დაადებინეს, ფულს დაგიბრუნებთო.

ფულის ჩამოსატანად საგარეჯოში მას ნ.გედევანიშვილი, გ.მებონია და ნ.პავლიაშვილი გაჰყვნენ. დედა და სიძე კი შ.ქარჩაიძემ თავის ბინაში დაიტოვა.

კ.აბესაძემ მხოლოდ თავისი წილის — 3 ათასი დოლარის დაბრუნება შეძლო, მაგრამ საკუთარი და ახლობლების სიცოცხლის გადასარჩენად აღუთქვა, დანარჩენ თანხასაც დავაბრუნებო. ნიკოლოზ გედევანიშვილმა თურმე მომენტით ისარგებლა და კ.აბესაძეს ავტომანქანა „რაფი“ წაართვა.

შ.ქარჩაიძემ ისიც შეიტყო, რომ ცისნამის საყვარელი ჰყოლია — შალვა გულედანი. ნ.გედევანიშვილს, ნ.პავლიაშვილსა და გ.მებონიას თავისთან, სახლში მიაყვანინა ის კაცი და ენით აუწერლად აწამა. შემდეგ იგი ნ.პავლიაშვილმა და გ.მებონიამ კუკიის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე აიყვანეს და არაადამიანური სისასტიკით მოკლეს: ჯერ ტყვია ესროლეს, შემდეგ კი დაჭრილს ბენზინი მიასხეს და ცოცხლად დაწვეს.

მხედრიონელ შ.ქარჩაიძეს სისხლი ადრეც ჰქონდა დაღვრილი. 1992 წლის 13 ოქტომბერს მან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობაში (!) შელაპარაკების ნიადაგზე მოკლა დუშეთის რაიონის სოფლის მეურნეობის სამართველოს უფროსი იაკობ ნაზღაიძე.

შ.ქარჩაიძეს თავის დროზე ი.ნაზღაიძის მკვლელობა შერჩა, შ.გულედანის მკვლელობაც შერჩებოდა, მაგრამ საქმე სხვაგვარად წარიმართა.

როგორც გახსოვთ, მან გამტაცებლებს ფულის დაბრუნება უბრძანა. იმათ ეს ფული უკვე შეჭმული ჰქონდათ და განიზრახეს სხვა ადამიანი გაეტაცათ და აღებული გამოსასყიდით თავი გამოესყიდათ. სწორედ ამ მორიგი დანაშაულის ჩადენის დროს ჩაცვივდნენ 1995 წლის 3 თებერვალს. ამის შემდეგ გაიხსნა ქარჩაიძის ცოლ-შვილის გატაცების ინსცენირებაც და შემდგომ ტრაგიკული მოვლენებიც.

მაგრამ ამ სახელგატეხილი ორგანიზაციის თავზე უკვე შავი ღრუბლები იყრიდა თავს...

ჯუნთების თამაში

1993 **წ**ლის 3 მარტი პარასკევი იყო, მაგრამ „დედის დღესთან“ დაკავშირებით უქმე გახლდათ.

თუმცა, ვისთვის უქმე იყო, ვისთვის — სადაგი.

ყოველ შემთხვევაში, ქვემო ქართლის რეგიონში სახელმწიფო მეთაურის რწმუნებულს ლევან მამალაძესა და მისი აპარატის მუშაკებს ნამდვილად არ ეუქმებოდათ: თბილისიდან სახელმწიფოს მეთაურის მდივანი რეკავდა, მაშველთა კორპუსის ხალხი მგონი თქვენთან შესახვედრად მოდისო.

ორი სახელმწიფო უწყების წარმომადგენელთა შეხვედრაში სახიფათო და საგანგაშო რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ გასახარი სტუმრობაც არ ეთქმოდა (თუმცა, იმას, რაც მოხდა, მასპინძელი ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა).

საქმე ის გახლდათ, რომ იმ ხანებში (მანამდე კი — მით უფრო) სომხეთისა და აზერბაიჯანის მომიჯნავე ამ რეგიონში საზღვარსა და ავტომაგისტრალებზე ველური განუკითხაობა სუფევდა, ძარცვა-ყაჩაღობა ჩვეულებრივ ყოველდღიურობად, „რუტინად“ იქცა. ვისაც არ ეზარებოდა, თანაც თუ ავტომატიც ჰქონდა, გზებზე „წესრიგს“ ამყარებდა, ანუ მიუკიბ-მოუკიბავად თუ ვიტყვით, ბანდიტობდა.

სახელმწიფოს მეთაური კი დაჟინებით ითხოვდა წესრიგის დამყარებას.

ადმინისტრაციის სხდომებზე გამუდმებით განიხილებოდა ეს საკითხი.

სახელმწიფო საზღვრებსა და ავტომაგისტრალებზე დისციპლინის დასამყარებლად და მართლწესრიგის განსამტკიცებლად 1994 წლის ბოლოს და 1995 წლის 5 მარტამდე პერიოდში არაერთი დადგენილება და განკარგულება მიიღეს.

ღონისძიება ითვალისწინებდა ძალოვანი სტრუქტურების, მაშველთა კორპუსის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, რომელთაგან ყველაზე არსებითი იყო: ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაცია, აღრიცხვა და სათანადო წესრიგის დაცვით მათი ჩაბარება და შენახვა.

ქვემო ქართლის სამართალდამცავი ორგანოების ძალისხმევით გამოვლინდა სხვადასხვა სახის არაერთი კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რომელთა უმრავლესობა მაშველთა კორპუსის („მხედრიონის“) წევრთა წილ მოდიოდა. დამნაშავეებს ჩამოერთვათ ავტომატები, აეკრძალათ პიკეტების მოწყობა, ავტოტრასებზე ტვირთების გაცილება და სხვა მსგავსი თვითნებობა.

ჰოდა, განაწყენებული იყო მაშველთა კორპუსი.

ეს იცოდა ლევან მამალაძემ.

თბილისიდან დარეკვის შემდეგ ათიოდ წუთი თუ იქნებოდა გასული, პირველი სართულიდან ამოვარდნილმა დაცვის მუშაკმა ქართლოს ძელურმა რაციით რომ აცნობა, შენობაში შეიარაღებული ადამიანები შემოდიანო.

ლევანთან ერთად კაბინეტში მყოფმა მისმა მოადგილემ ოთარ მაზმიშვილმა ფანჯარაში გადაიხედა, ზღვა ხალხი მოსულაო.

ქართლოს ძელური კაბინეტს აეფარა, მაგრამ ვერ მოასწრო მოსულთათვის ეთქვა, მამალაძემ გთხოვათ, მხოლოდ დელეგაციის ხელმძღვანელები შემოვიდნენო, რომ ერთ-ერთმა ავტომატის კონდახი ჩაარტყა სახეში და ძალით შეიჭრნენ რწმუნებულთან. ძელურს გონება არ დაუკარგავს და ისიც შეჰყვა.

იქაურობა ბრძოლის ველს ჰგავდა თავებზე პისტოლეტის ტარის ხათქუნით, მუშტი-კრივით, მყრალი გინებით.

ლევან მამალაძე კედელთან მიემწყვდიათ და 5-6 შეიარაღებული კაცი წასეოდა. თავში რაღაც ჩაერტყათ, სახეზე სისხლი ჩამოსდიოდა. ქართლოსი მომხვდურებს შეეჭიდა, ლევანის დახსნა სცადა. ამ დროს ავტომატის ჯერის ხმა გაისმა და ფეხში ტკივილი იგრძნო. მერე გრძნობა დაკარგა...

იატაკი სისხლით მოისვარა, იყო საშინელი განუკითხაობა და ძალმომრეობა...

მერე როგორც იყო, მაგიდას მიუსხდნენ. ლ.მამალაძე მისადგმელ მაგიდასთან დასვეს, მის პირდაპირ ქვემო ქართლის მაშველთა კორპუსის უფროსი ბესო ჩხეიძე დაჯდა, ხოლო მაგიდის თავში, რწმუნებულის სამუშაო ადგილას — საქართველოს მაშველთა კორპუსის თავმჯდომარე გიგა გელაშვილი.

ერთობ აგრესიულად იყვნენ განწყობილი. ჩვენ მაშველთა კორპუსი კი არა, „მხედრიონი“ ვართ, რა იარაღის ჩაბარებას ითხოვთ ჩვენგანო. მაგიდაზე სულ მუშტები უბრახუნეს, როგორ გაბედეთ და ჩვენი ბიჭები დააკავეთ მარნეულშიო. მარნეულის პოლიციის უფროსის ფრიდონ კენკებაშვილის სამსახურიდან დაუყოვნებლივ განთავისუფლებას მოითხოვდნენ.

ლევანი ცდილობდა გაერკვია ისინი საქმის ვითარებაში, მაგრამ ლაპარაკის საშუალებას არ აძლევდნენ. ვიღაცამ უკანიდან მეორედ ჩაარტყა იარაღის ტარა და კვლავ სისხლი დაედინა.

შეჭრილი შეიარაღებული ხალხით სავსე კაბინეტში საქართველოს უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილე თემურ ხაჩიშვილიც იმყოფებოდა. ვითომც არაფერიო, თავისთვის, უმოქმედოდ იდგა. როცა იქ მყოფთა შორის მას თვალი მოჰკრა, ლევანმა ხმამაღლა მიმართა, რას შვებით, თემურ, რას აკეთებთ, ეს ამდენი ხალხი რად გინდათო. მაგრამ მან ეს სიტყვები არად ჩააგდო და თვალთვალი განაგრძო.

იმდღევანდელი რუსთავის სრულად წარმოსახვისთვის, ისიც უნდა ითქვას, რომ მერიის მიმდებარე საცხოვრებელი სახლების სახურავები სამოქალაქოტანსაცმლიანი ჯეელებით იყო დახუნძლული, ავტომატები, „მუხები“, ტყვიამფრქვევები მოემარჯვებინათ. ერთი სიტყვით, ყველა მაღლობი დაკავებული ჰქონდათ. მერიის შენობის შიგნით, ფანჯრებთანაც ილანდებოდნენ ავტომატიანები.

ოპერაცია „დაშინება“ თითქმის მთელი საათი გაგრძელდა.

1995 წლის 3 მარტს რუსთავში მომხდარ ამბავთან დაკავშირებით იმავე დღეს აღძრა საქმე ქვემო ქართლის რეგიონის პროკურორმა სიმონ მაჭავარიანმა.

საქმე აღიძრა და გამოძიება მაშინვე ჩიხში მოექცა.

იყვნენ დაზარალებულები, იყვნენ მოწმეები, არ იყვნენ დამნაშავენი.

არა, დამნაშავეები როგორ არ იყვნენ, მაგრამ მათი დაკითხვა ვერ მოხერხდა.

ვერ მოხერხდა იმიტომ, რომ პროკურორის არაერთგზის გაგზავნილი უწყებების ერთობ ალერსიანი ტონის მიუხედავად, დასაკითხად მობრძანდით როგორც მოწმეო, არც გ.გელაშვილმა, არც თ.ხაჩიშვილმა და არც ბ.ჩხეიძემ მისვლა არ ინებეს.

არც უშიშროების სამსახურის უფროსის იგორ გიორგაძისთვის გაგზავნილმა წერილმა გაჭრა, თ.ხაჩიშვილი მოწმედ დასაკითხად არ ცხადდება და დაგვეხმარეთო.

მოგვიანებით, უკვე დაპატიმრების შემდეგ, თემურ ხაჩიშვილმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, 3 მარტის ინციდენტის ირგვლივ ჩვენების მიცემა არ ისურვა, „ღირსების შეურაცხყოფისთვის“ პროტესტის ნიშნად შიმშილობა გამოაცხადა“, თავისი მოქალაქეობრივი ინტერესების „დასაცავად“ საპარლამენტო კომისიის შექმნა მოითხოვა, პოლიტიკური და პიროვნული ანგარიშსწორების მსხვერპლი ვარო, თავის დროზე უშიშროების სამსახურმა ამ ფაქტთან დაკავშირებით სამსახურებრივი მოკვლევა ჩაატარა და თუ რამეში დამნაშავე ვიყავი, უკვე მიიღო ზომებიო.

წუთშესვენება: **იგორ გიორგაძის განკარგულებით, უშიშროების სამსახურს თ.ხაჩიშვილის მიმართ არავითარი სამსახურებრივი მოკვლევა არ ჩაუტარებია.**

აი, გიგა გელაშვილმა კი მაშინვე აღიარა, რომ თავს დამნაშავედ ვგრძნობ, ვნანობ 3 მარტს მომხდარს და ყველაფერზე თვითონ ვაგებ პასუხსო.

მაგრამ ამავე დროს სცადა პასუხისმგებლობა აეცდინა ჯგუფური მოქმედების ორგანიზებისთვის. არ ვიცი, საიდან და როგორ გაჩნდნენ რუსთავში შეიარაღებული მხედრიონელები, როდესაც მე და ხაჩიშვილი მისი დაცვის მუშაკების თანხლებით რუსთავში ჩავედით, ისინი იქ დაგხვდნენო. ასევე შეეცადა, გამოძიება დაერწმუნებინა, რომ ამ საქმეში უბრალო იყო ჯაბა იოსელიანი — მაშველთა კორპუსის საპატიო თავმჯდომარე, მაშველთა კორპუსის შეფის პოსტზე მისი რეკომენდატორი, ვის პატივსაცემადაც თავის ბიჭუნას ჯაბა დაარქვა.

ალეკო ასლანიშვილი.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 12-19

◎ სამთო თხილამურები

გზად სოჭისაკენ

ნინო წიკლაური, იასონ აბრამაშვილი, ალექსი ბენიაიძე (სამივე — სამთო თხილამურები) და ელენე გედევანიშვილი (ფიგურული სრიალი) — აი, ის ქართველი სპორტსმენები, რომლებიც 7 თებერვლიდან სოჭში ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზებენ. ამ მნიშვნელოვანი სპორტული დღესასწაულისთვის სამთო მოთხილამურეები ევროპაში ვარჯიშობენ, გედევანიშვილი კი, რომელმაც ამას წინათ ევროპის ჩემპიონატზე ბუდაპეშტში მე-10 ადგილი დაიკავა, კანადაში ემზადება. ოლიმპიადამდე დარჩენილ დღეებში სამთო მოთხილამურეები სხვადასხვა ტურნირზე ცდიან ძალებს. ავსტრიულ ტურნაუში საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (Fis-ის) ეგიდით 32 ქვეყნის წარმომადგენელი ვაჟები სლალომში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. ქართველთაგან იასონ აბრამაშვილმა და ალექსი ბენიაიძემ მოსინჯეს ძალები. იასონი პირველი ცდის შემდეგ ლიდერობდა, მაგრამ მეორე ცდაზე უნებლიე შეცდომა დაუშვა, რაც „ოქროს“ დაკარგვის ფასად დაუჯდა - საბოლოოდ ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა და საკუთარ სარეიტინგო მაჩვენებელს Fis-ის 28.43 ქულა შესძინა. პირველი ადგილი გერმანელ ალექსანდრ ვეტერს ხვდა. ბაკურიანელი სპორტსმენი ალემანს 0.63 წამით ჩამორჩა. მესამე ადგილი სლოვაკ მარტინ რაზუსს ერგო. ალექსი ბენიაიძე მეცხრე ადგილს დასჯერდა (34.70 ქულა).

ლექსო ცინცაძე

◎ ლეგიონერი

ფაჩულიამ ვარჯიში განაახლა

საქართველოს ეროვნული ნაკრების და „მილუოკი ბაქსის“ ცენტრი ზაზა ფაჩულია მოედანს უახლოეს პერიოდში უნდა დაუბრუნდეს. როგორც ამერიკული კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდის მიმომხილველი ჯიმ პაშკე იტყობინება, ზაზამ ტრავმა მოიშუშა და გუშინ თანაგუნდელებთან ერთად პირველი სრულფასოვანი ვარჯიში ჩაატარა.

შეგახსენებთ, რომ ფაჩულია გასული წლის დეკემბრის დასაწყისში დაშავდა და მას შემდეგ მკურნალობდა, ახლა კი ნანატრი დაბრუნება შორს აღარ უნდა იყოს.

ცნობისთვის, მიმდინარე სეზონში „ბაქსში“ ტრავმების ნამდვილი ეპიდემიაა. მაგალითად, მილუოკელთა გასულ მატჩში, რომელიც კლუბმა შინ „ლოს ანჟელეს კლიპერსთან“ 86:114 დათმო, მთავარმა მწვრთნელმა ლარი დრიუმ მოედანზე მხოლოდ 9 კალათბურთელის გაყვანა მოახერხა.

ქართველი ცენტრის გარდა, ამჟამად „ბაქსის“ ლაზარეთში ოჯეი მაიო, გარი ნილი, ლარი სანდერსი, ეკპე უდო და კარლოს დელფინო იმყოფებიან. გასაკვირი არაა, რომ ზაზას გუნდს ამჟამად მხოლოდ 8 გამარჯვება გაჩნია (36 მარცხის წილ) და მთელს ლიგაში ბოლო ადგილზე იმყოფება.

„ბაქსი“ მომდევნო მატჩს დღეს ისევ მილუოკში „ფენიქს სანზის“ წინააღმდეგ ჩაატარებს და იმედია, საქართველოს ნაკრების კაპიტანს, თუნდაც რამდენიმე წუთით, უკვე ამ თამაშში ვიხილავთ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ტრიუმფატორი

სტანისლას ვავრინკა: გამარჯვება პირველმა ფედერერმა მომილოცა

ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში რაფა ნადალის დამარცხებისა და მთავარი პრიზის მოპოვების შემდეგ შვეიცარიელი სტანისლას ვავრინკა ჟურნალისტებს გაესაუბრა. როჯერ ფედერერის თანამემამულემ მედიელებს გადამწყვეტ მატჩში მონაწილეობისა და ჩემპიონობის დაუფლების საკუთარი ემოცია გაანდო.

— რა გრძნობა დაგეუფლათ, როდესაც ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი გახდით?

— ჯერ კიდევ ვერ გამიაზრებია რა მოხდა — თავი სიზმარში მგონია. უცნაური გრძნობა მეუფლება. დიდი სლემის ტურნირების ფინალებს რეგულარულად ვუცქერ და ცოტა ხნის წინ მხოლოდ თუ ვიოცნებებდი ამგვარ მატჩში მონაწილეობაზე. მთლიანობაში მართლაც კარგი ტურნირი ჩავატარე. რაფას წინააღმდეგ ფინალში საჩოგბურთო კარიერის საუკეთესო სეტი გავმართე. ნოვაკ ჯოკოვიჩს ოთხსაათიანი პაექრობა მოვუგე,ხოლო ტომაშ ბერდიხს ნახევარფინალში ვძლიე. გამოდის, ბოლო წლების განმავლობაში სწორი მიმართულებით მივდიოდი. ბევრი ვიშრომე, შანსი მომეცა და სათანადოდ გამოვიყენე.

— ნადალთან ფინალი თქვენი კარიერის გამორჩეული მატჩია. მოგებას ერთგვარ ჩრდილს მეტოქის ტრავმა ხომ არ აყენებს?

— მეც კი გაკვირვებული ვიყავი, თუ რა მაღალ დონეზე დავიწყე თამაში. ამ დროს რაფას არაფერი აწუხებდა. ცხადია, უსიამოვნო შეგრძნება მქონდა, რადგან ტრავმირებული ოპონენტის წინააღმდეგ გამოსვლა არავის სურს.

მით უმეტეს, რაფა ჩემი მეგობარია და ჩვენ ხშირად ერთად ვვარჯიშობთ. იმედია, ნადალის ტრავმა სერიოზული არაა და სეზონის დარჩენილ ნაწილს სრულად ჩაატარებს. რაფა ჩოგბურთისთვის მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა.

— თქვენს მატჩებს როჯერ ფედერერი ადევნებდა თვალს და, როგორც თავად აცხადებს, მეუღლესთან ერთად გქომაგობდათ...

— როჯერი ჩემი ახლო მეგობარია და ავსტრალიის ღია ჩემპიონატში გამარჯვება პირველმა მან მომილოცა. შარშან როჯერის გამოსვლა წარმატებული ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ ეს არაფერს ცვლის — ფედერერი მაინც ყველა დროის უძლიერეს ჩოგბურთელად რჩება.

— რეიტინგსიის ლიდერობას თუ ფიქრობთ?

— მას შემდეგ, რაც კლასიფიკაციის მესამე ნომერი ჩოგბურთელი გავხდი, ამ კითხვას ველოდი. ალბათ, ჩემგან რეიტინგში დაწინაურების სურვილის გამოთქმას ელით, მაგრამ კარგად მესმის, რომ ეს ურთულესად აღსასრულებელი საქმეა და არც ახლო მომავლის პერსპექტივაა.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კონტაქტები

ესპანეთში — საქმიანი ვიზიტით

საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს“ პრეზიდენტი ტარიელ ხეჩიკაშვილი და ამავე კლუბის გენერალური დირექტორი კახა ჭუმბურიძე საქმიანი ვიზიტით ესპანეთში იმყოფებიან.

ისინი პირენეებზე საქართველოს ელჩთან ზურაბ პოლოლიკაშვილთან მეგობრობენ და მისი დახმარებით იქაურ კლუბებთან საქმიან ურთიერთობას ამყარებენ.

„ძალიან საინტერესო და სასიამოვნო შეხვედრა გვქონდა მადრიდის „რეალის“ სკაუტთან. ასევე საქმიანი საუბარი შედგა „ესპანიოლის“ პრეზიდენტთანაც. მომავალში ეს ურთიერთობები აუცილებლად გაღრმავდება და შედეგებიც მალე გამოჩნდება. ესპანურ კლუბებთან სამომავლოდ გაცვლითი პროგრამები დავგეგმეთ, რის შედეგადაც ჩვენი ურთიერთობები აქტიური გახდება. ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა, რაც „საბურთალოს“ აუცილებლად წაადგება“ — განაცხადა კახა ჭუმბურიძემ.

გიორგი შოთაძე

◎ სკანდალის შემდეგ

ნეიმარის მამამ „ბარსელონასგან“ 10 მილიონი კონტრაქტამდე მიიღო

ესპანეთში ნეიმარის ტრანსფერის თემა აქტუალობას არ კარგავს. ამჯერად ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ ფეხბურთელის მამის ნეიმარ და სილვა სანტოსის ოფიციალური კომენტარი მოიპოვა. ეს უკანასკნელი ამბობს, რომ ჯერ კიდევ 2011 წელს, მაშინ, როდესაც მისი შვილი „სანტოსში“ თამაშობდა, „ბარსელონამ“ მის კომპანია N&N-ს 10 მილიონი ევრო გადაურიცხა.

„ეს თანხა „ბარსელონასგან“იმ პირობით მივიღე, რომ ნეიმარი კატალონიური კლუბის გარდა არსად გადასულიყო, ოღონდ ეს წინასწარი კონტრაქტი არ იყო. უბრალოდ, მე მოვლენების მათთვის სასურველი სცენარით განვითარებით უნდა ვყოფილიყავი დაინტერესებული. ფინანსური თვალსაზრისით უფრო შთამბეჭდავი შემოთავაზებებიც გვქონდა, მაგრამ არჩევანი „ბარსელონაზე“ შევაჩერეთ და საწყენია, რომ ამ თემით ხმაურის ატეხვას ცდილობენ. მთავარია ჩემმა შვილმა სიმშვიდე შეინარჩუნოს — მას ხომ წინ მსოფლიოს ჩემპიონატი ელის“ — განაცხადა ნეიმარის მამამ.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

ტოტი, წიგნები და ინტელექტი

ვეტერანმა იტალიელმა ფეხბურთელმა ფრანჩესკო ტოტიმ თანამემამულე ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ აპენინური პრესა მის შესახებ ხშირად არასწორ ინფორმაციას ავრცელებს და ძალიან სწყინს, როდესაც მას სრულიად უწიგნურ და უინტელექტო ადამიანად მოიხსენიებენ.

„რომას“ ლეგენდარული კაპიტანი იტალიური მედიის ერთ-ერთი საყვარელი პერსონაჟია და მასზე ანეკდოტებიც კი ითხზვება ხოლმე. ერთ-ერთი ანეკდოტი ასეთია: ტოტის სახლი დაეწვა და დამწუხრებული ჩიოდა, ყველაზე მეტად წიგნებზე მწყდება გულიო. რომელი წიგნებიო — ჰკითხა ხალხმა. — ჩემს გასაფერადებელ წიგნებზე მწყდება გულიო — უპასუხა ტოტიმ.

ასეთი შავი პიარით გულდათუთქული ტოტი ამბობს, რომ შეიძლება დიდად ერუდირებული კაცი მართლაც არაა, მაგრამ არც ისეთი უწიგნურია, როგორც მასზე წერენ და ძალიან არ მოსწონს, რომ შტერ კაცად გამოჰყავთ. ტოტის ადგილზე ასეთი ჭორები სხვას ვის მოეწონებოდა?!...

◎ სხვისი ვალი

იყიდება ვალდებულებები

ამჟამად უკრაინაში მიმდინარე მძაფრი სამოქალაქო დაპირისპირება, რომლის შედეგი, საბოლოო ანგარიშით, ქვეყნის სამომავლო სავალ გზას, მისი ხალხის ბედს გადაწყვეტს, მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. ბუნებრივია, რომ მოვლენებს უდიდესი ყურადღებით აკვირდებიან როგორც საქართველოს მთავრობა, ისე მთლიანად საქართველოს მოსახლეობა, რომლის თანაგრძნობა და სიმპათიები უკრაინელ ხალხს ეკუთვნის, რომელიც დღესდღეობით ისტორიულ გზაგასაყარზე დგას.

დაპირისპირებულ მხარეებს საკუთარი, მათ შორის ეკონომიკური არგუმენტები აქვთ, რომლებზეც ჰაიჰარად ხელის აქნევა ოპონენტებს უჭირთ. ჩვენი მკითხველისთვის ორივეს არგუმენტაცია კარგადაა ცნობილი, რადგან ქართული მასმედია უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გაშუქებას საკადრისად დიდ დროს უთმობს, ამიტომ მათ გამეორებას აღარ მოვყვებით. თქვენი ყურადღება კი, ბატონებო, უკრაინისთვის ისეთ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს გვინდა მივაპყროთ, როგორიცაა ქვეყნის საგარეო ვალი, რომელიც პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩისთვის საჯილდაო ქვად იქცა.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოსაც, მისი სადღეისო ეკონომიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საკმაოდ დიდი საგარეო ვალი (8 მილიარდი დოლარი) აქვს, უკრაინის სახელმწიფო ობლიგაციებთან დაკავშირებით მიმდინარე მოვლენები ჩვენთვისაც ყურადსაღები იყო.

საქმე ისაა, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე უკრაინის სახელმწიფო ათწლიანი ობლიგაციების სარგებელი წლიური 7,95 პროცენტიდან 19 პროცენტამდე გაიზარდა, რითაც ამ ქვეყნის სახელმწიფო ფასიანმა ქაღალდებმა განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს შორის ყველაზე უარესი დინამიკა აჩვენა. ინვესტორთა უმრავლესობა მეტად სკეპტიკურადაა განწყობილი უკრაინის პერსპექტივებთან დაკავშირებით და, უახლოეს პერიოდში, ძალიან დიდი ალბათობით, ქვეყნის დეფოლტს ელიან.

თუმცა კი, მიუხედავად ამისა, ამერიკული საინვესტიციო ჯგუფი „ფრანკლინ ტემპლტონი“ უკრაინული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვას განაგრძობს და ამით ქვეყნის ვალის საკუთარ პორტფელს ზრდის. აღსანიშნავია, რომ „ფრანკლინ ტემპლტონ ინვესთმენტი“, რომელიც 25 მილიონ კერძო და ინსტიტუციონალურ ინვესტორს წარმოადგენს, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი საინვესტიციო კომპანიაა, რომელიც 800 მილიარდზე მეტი ოდენობის კაპიტალს განკარგავს. კერძოდ, არცთუ დიდი ხნის წინათ „ფრანკლინ ტემპლტონმა“ დამატებით კიდევ 1,4 მილიარდი დოლარის უკრაინული სახელმწიფო ობლიგაციები შეიძინა, რითაც „ძველი მარაგი“ 6 მილიარდ დოლარამდე გაზარდა, რაც უკრაინის მთავრობის მიერ განთავსებული ამ სახეობის ფასიანი ქაღალდების საერთო მოცულობის 40 პროცენტია.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ სადღეისოდ ქვეყანაში ურთულესი მდგომარეობაა, საზოგადოებაში დაძაბულობა კი უკვე დიდი ხანია გრძელდება, რაც აქამდე პერმანენტულად სამოქალაქო მშვიდობიან დაპირისპირებაში გადადიოდა, „ფრანკლინ ტემპლტონი“ მაინც განაგრძობს ობლიგაციების შეძენას და დიდი რისკის პირობებში გათვლას სოლიდურ მოგებაზე აკეთებს. ბუნებრივია, რომ ამ პირობებში აღნიშნული ჯგუფი სისხლორცეულადაა დაინტერესებული საკუთარი ფინანსური ინტერესების უზრუნველყოფაზე, ქვეყანაში სტაბილური მდგომარეობის დამყარებაზე, რათა ხელისუფლებას ვალის გასტუმრების წადილი, ეკონომიკას კი ამის გაკეთების შესაძლებლობა ჰქონდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ „ფრანკლინ ტემპლტონი“ მანამდე ასევე მოიქცა ირლანდიის სახელმწიფო ობლიგაციებთან დაკავშირებით — მან ფასიანი ქაღალდები მაშინ შეიძინა, როცა ქვეყანას დეფოლტი რეალური საფრთხის წინაშე იყო.

სადღეისოდ უკრაინის საგარეო ვალი 60 მილიარდი დოლარია. მათ შორის, ნახევარზე მეტი მოკლევადიანი სესხებია, რომელთა გასტუმრების ვადა 2017 წელს იწურება. მისი სავალუტო რეზერვი კი ბოლო დროს 20 მილიარდ დოლარამდეა შემცირებული.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ჩვენი კარაბადინი

ძილი ნებისა!

ზამთარში, როცა დღის სინათლე გვაკლია, გამუდმებით გვეძინება, თუმცა, ძილი მუდამ არ გვყოფნის. არადა, თურმე არსებობს ძილის ნორმალიზების რამდენიმე ხელმისაწვდომი პროდუქტი, რომელთა მოხმარება სასიკეთო ზეგავლენას იქონიებს თქვენს ორგანიზმზე.

ასეთია, პირველ ყოვლისა, ბუნებრივი ამინომჟავის ტრიპტოფანის შემცველი საკვები, რომელიც დიდებული დამამშვიდებელი, ძილის მომგვრელი საშუალებაა. იგი ასევე ორგანიზმის, განსაკუთრებით კი თავის ტვინის ნერვულ ბოჭკოებს ამშვიდებს და დაძინებას უწყობს ხელს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ „მოკავშირის“ მოხმარება დაძინებამდე ორი საათით ადრე, თანაც მცირე ულუფითაა საჭირო, რადგან ღამე ნივთიერებათა ცვლა ნელდება, მაშასადამე, 23 საათის შემდეგ მიღებული საკვები ან კუჭნაწლავში „გაიჩხირება“, რაც დილით უსიამოვნო შეგრძნებას გამოიწვევს, ანდა წონას შეგმატებთ.

ბალახეული ჩაი

გვირილის, პიტნის, მელისის, მწვანე ჩაის ნაყენი მთელი დღის განმავლობაში დატვირთულ ნერვულ სისტემას კარგად ამშვიდებს. ასეთი სასმელი ერთ ფინჯანზე მეტი არ უნდა დალიოთ.

ალუბლის წვენი

ამერიკის პენსილვანიის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ალუბალი ორგანიზმში მელატონინის შემცველობას ზრდის, რომელიც უძილობას შველის. სპეციალისტები აცხადებენ, რომ ძილის რეჟიმის მოსაგვარებლად კარგია ახალი, გაყინული, ან, სულაც, დაჩირებული ალუბლის წვენის დალევა.

რძის პროდუქტები

ძილის პრობლემის მოსაგვარებლად კარგია ჭიქა ადუღებული რძის, მაწვნის ან იოგურტის დალევა, რომლებიც დიდი ოდენობით კალციუმს შეიცავენ და ნერვულ სისტემასაც დაგიმშვიდებენ. სხვათა შორის, კეფირსა და მსგავს პროდუქტებს ორგანიზმი რძეზე უკეთ ითვისებს (საშუალოდ1,5-2 საათში), ამიტომ მათი მიღებისას ეს გარემოებაც უნდა გაითვალისწინოთ.

ნუში

უძილობის უებარი საშუალებაა მაგნიუმის დიდი ოდენობით შემცველი ნუში, რომელიც კუნთების მოდუნებასა და ძილის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ამ კაკლის ცილა ძილის დროს სისხლში შაქრის დონის სტაბილურობის შენარჩუნებას უწყობს ხელს და ადრენალინის გამოყოფას არეგულირებს. სპეციალისტები ძილის წინ სუფრის კოვზი ნუშის ზეთის დალევას, ან დაძინებამდე ორი საათით ადრე 50 გრამი კაკლის ჭამას გვირჩევენ, რაც კუნთებს მოადუნებს.

* * *

სრულფასოვანი ძილისთვის ასევე კარგია ტრიპტოფანით მდიდარი პროდუქტების მიღება, მათ შორის, **ინდაურის ხორცის** მწვანე ბოსტნეულის გარნირით. დიდი ოდენობით ტრიპტოფანს შეიცავს ასევე **ბანანი, ფინიკი, არაქისი.** ტკბილად დასაძინებლად ბლენდერში გატარებული ერთი ბანანი და ფინჯანი რძე შეურიეთ და დალიეთ. გარდა ამისა, ძველი ინდური პრაქტიკული დისციპლინა ძილის რეჟიმის დარღვევის დროს გვირჩევს საძილე საშუალებად ვიხმაროთ **ქუნჟუთის ზეთი, ჯავზის (მუსკატის) კაკალი, გვირილის ჩაი, რძე, თაფლი.** უძილობის დროს საჭიროა ფეხის ტერფების ქუნჟუთის ზეთით დაზელვა, ფინჯანი ჩაის დალევა, რომელშიც გახეხილი ჯავზის მწიკვი უნდა ჩაყაროთ და გამოძინება გარანტირებული გაქვთ. ძილის საუცხოო საშუალებაა თაფლიც — ერთი კოვზი თაფლი ჭიქა თბილ წყალში გახსენით და... ძილი ნებისა!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოხატავენ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, თვალსაჩინო ქართველი კარდიოლოგის

ნუგზარ დამიანეს ძე გოგოხიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვახტანგ ყოლბაია, დიმა ჯაიანი, გენო კალანდია, ჯამბულ წულაია, რამინ ქეცბაია, ჯემალ ბერიძე, პავლე ქვაჩახია, ალექსანდრე მიქაძე, რუდიკ ცატავა, მოგელი ზუხბაია, ვილენ ალავიძე, მერი გეგეჭკორი მწუხარებით იუწყებიან

ნუგზარ დამიანეს ძე გოგოხიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გივი ლომინაძე ოჯახით მწუხარებით იუწყება კეთილშობილი ადამიანის

ნუგზარ გოგოხიას

გარდაცალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის მეუღლეს ქალბატონ ნატალიას და შვილებს ირინას, დამიანეს, სიძეს კონსტანტინე როგავას და სხვა ჭირისუფალთ.

სულხან პაპაშვილი ოჯახით მწუხარებას გამოხატავს

ნუგზარ გოგოხიას

გარდაცალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის მეუღლეს ქალბატონ ნატალიას და შვილებს ირინას, დამიანეს, სიძეს კონსტანტინე როგავას და სხვა ჭირისუფალთ.

საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნის“ თანამშრომლები და ლექტორები ღრმა მწუხარებით იუწყებიან „ცოდნის“ ყოფილი თავმჯდომარის, პროფესორ დამიანე გოგოხიას შვილის, ცნობილი ექიმისა და სანიმუშო მოქალაქის

ნუგზარ გოგოხიას

უდროოდ გარდაცვალებას და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს.

მეუღლე თამარ ჭანტურია, შვილები ციცნა, თეოშა ბენდელიანები, სიძეები გივი მიქანაძე, შოთა სვანიძე, შვილიშვილები თათუ, დათი, გიო, ნუცი, ცოლისდა ლალი ჭანტურია, ქვისლები ნოდარ გომელაური, ნუგზარ ფოფხაძე, მძახლები ლამარა თოდუა, გია სვანიძე, ბიძები თამაზ ჭუმბურიძე, გიკა საყვარელიძე, დეიდა ემა საყვარელიძე, ბიძაშვილები მაია, მარინე აბაშიძეები, მაია, გია ბენდელიანები, ნანი, სოსო ბობოხიძეები, მამიდაშვილი ალეკო ლუხავა, დეიდაშვილი ნუგზარ დურმიშიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კანისა და ვენ-სნეულებათა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ზურაბ დავითის ძე ბენდელიანი

გამოსვენება 30 I, 15 სთ. ფანასკერტელის მე-19 კორპუსი, მე-7 სადარბაზო, მე-6 სართული.

ნოდარ ემუხვარი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება მეგობრის, უკეთილშობილესი პიროვნების, ცნობილი ექიმისა და პედაგოგის

ზურაბ ბენდელიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ტრაგიკულად დაიღუპა ბატონი **ზურაბ დავითის ძე ბენდელიანი** — თსსუ კანისა და ვენერიულ სნეულებათა დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი, მედიცინის დოქტორი.

ბატონი ზურაბ დავითის ძე ბენდელიანი იყო დერმატო-ვენეროლოგთა ასოციაციის წევრი. მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში, კონგრესებში.

ბატონი ზურაბი იყო ერთგული მეგობარი, მზრუნველი მეუღლე, მოსიყვარულე მამა და ბაბუა.

2011 წლიდან ის იყო „დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის“ დერმატო-ვენეროლოგი.

თსსუ კანისა და ვენერიულ სნეულებათა დეპარტამენტი, ქ. თბილისის „დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი“.

დედა ნელი, მამა მავრი, ძმები კახა, დევი ზალდასტანიშვილები, რძლები ლიკა ჯაფარიძე, ეკა დოჯურიშვილი, ძმისწულები სანდრო, ანა, მარიამი, სოფიო, ანასტასია, ანდრია, სიძე ირაკლი, ძმისშვილიშვილი დათა მაცაბერიძეები,ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სერგი ზალდასტანიშვილი

პანაშვიდი 30, 31 I, 17 სთ. დაკრძალვა 1 II, 14 სთ. მის: ვაჟა-ფშაველას №12, V სად. III სართული.

თბილისის მაკარონის ფაბრიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზურაბ კუპრაშვილს

ბებიის

გარდაცვალების გამო. გამოსვენება 1 II, 14 სთ. ქ. თბილისი, ვაზისუბანი, მე-2 მ/რ, მე-2 კორპ., მე-7 სადარბაზო, მე-6 სართული.

დაიჯესტი

ვინ მართავს მეჯლისს?

მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანები მართავენ. მმართველი კლასი — ესაა უზარმაზარი ქონების პატრონი ხალხი, რომელიც საკუთარ სახლებში კი არა, არამედ რეზიდენციებში, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ფეშენებელური სასტუმროების აპარტამენტებში ცხოვრობს. მის წარმომადგენლებს უცნაურად ეჩვენებათ ის აზრიც კი, რომ კაცმა თავი შეიძლება რომელიმე ეროვნებას მიაკუთვნოს. ამ კლასის ჩამოყალიბება აქტიურად ათი წლის წინათ დაიწყო, ახლა მას აქტიურად ერწყმიან ჩინელებიც, პირველი ვიოლინოს პარტიას კი ამერიკელები ასრულებენ. მსოფლიო მთავრობის მიზანია დედამიწაზე მდიდარი ხალხისთვის სამოთხის მოწყობა.

თავის დროზე მდიდართა მსოფლიო შეთქმულების თეორიას თითქმის ყველანი დასცინოდნენ — აქაოდა ეს სისულელე რომელმა გენიოსმა მოიგონა, რა მსოფლიო მთავრობა, რის მსოფლიო მთავრობაო! მაგრამ წლიდან წლამდე ამ საიდუმლო მთავრობის ბუნდოვანი კონტურები სულ უფრო მეტად იკვეთება.

როცა ლაპარაკი მსოფლიო მთავრობაზე იწყება, მაშინვე წარმოიშვება კითხვა: სად იკრიბებიან „სამყაროს მესაჭენი“?

საქმეში ჩახედული ხალხი რამდენიმე ადგილს ასახელებს, მათ შორისაა შვეიცარიის სოფელი დავოსი, სადაც ყოველი წლის იანვარში ეკონომიკური ფორუმი იმართება; ბილდელბერგის კლუბი — 383 კაცი ყოველ ჯერზე ახალ საიდუმლო ადგილას იკრიბება, მათი სახელები კი უმკაცრესადაა გასაიდუმლოებული. 2008 წელს ჟურნალისტებმა მაინც შეძლეს ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელის ბენ ბერნანკესთვის ფოტოს გადაღება, რომელიც ამ შეხვედრაზე მიდიოდა. ბოლო ასეთი შეკრება 2012 წლის მაისში ვირჯინიაში გაიმართა. 300-ის კომიტეტი — მწერალ ჯონ კოლემანის ვერსიით, ესაა მსოფლიოს უმდიდრესი 300 კაცის იდუმალი კავშირი, რომელიც 1997 წელს შეიქმნა. ჯონ კოლემანი დარწმუნებულია, რომ კომიტეტის შემადგენლობაში ბორის ელცინიც შეიყვანეს და სსრ კავშირის დაშლაც მოაწყეს. მიჩნეულია, რომ როტარი-კლუბი ესაა მასონების მემკვიდრე. მსოფლიოში 33 ათასი როტარი კლუბია,რომელიც 1,2 მილიონ წევრს აერთიანებს. მისი ოფიციალური მიზანია ქველმოქმედება.

ტყუილების „სამხედრო არსენალი“: ტირილი და სიცილი

თოთო ბავშვებს მეცნიერები (და არა მარტო ისინი) მუდამ სრულიად უმანკო არსებებად მიიჩნევდნენ. ითვლებოდა, რომ განვითარებად ტვინს ეშმაკური ტყუილების მოგონების უნარი არ შესწევს, რადგან ამ რთულ ხელოვნებას ადამიანი დაახლოებით ოთხი წლის ასაკისთვის სწავლობს. არადა, როგორც აღმოჩნდა, ყველანი ერთად ვცდებოდით, ბატონებო: ადამიანი ტუყილებს თურმე, ექვსი თვის ასაკიდან იწყებს.

პორტსმუტის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მეცნიერებმა, ყოფაქცევის შემსწავლელმა სპეციალისტებმა დოქტორ ვასუდევი რედის ხელმძღვანელობით დაადგინეს, რომ „თოთოობის ტყუილი“ პატარებს ცხოვრების მომდევნო ეტაპებზე მის გაცილებით უფრო დახვეწილი სახეობების დაუფლებაში ეხმარება.

აღმოჩნდა, რომ პატარები მალევე ხვდებდიან, თუ როგორ შეუძლიათ მშობლების ყურადღების მიპყრობა და სრულად იყენებენ მათ ხელთ არსებულ იარაღს — ტირილსა და სიცილს.

— ესაა მოტყუების ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ფორმა, — ამბობს დოქტორი რედი. — მისი გამოცნობა ძალიან ადვილია: ვიდრე კიდევ ერთხელ წამოიტირებდეს ბავშვი პაუზას აკეთებს. ამის მიზეზია გაიგოს — უსმენს თუ არა დედა.

რვა თვის ასაკში ხმარებაში მოტყუების სხვა ხერხები ერთვება —ესაა აკრძალულ მოქმედებათა დამალვა და მშობლის ყურადღების სხვა რამეზე გადატანის მცდელობა. ორი წლისთვის ბავშვები კიდევ უფრო მეტად ეშმაკდებიან, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა დასჯის საფთხე წარმოიშვება. მოგვიანებით ბავშვები, როცა დასჯა ემუქრებათ, დიდგულად კი აცხადებენ: ჩემთვის სულ ერთიაო, მაგრამ სინამდვილეში სასჯელის წინაშე შიში მაინც აქვთ.

დოქტორ რედის აზრით, პატარ-პატარა ტყუილებზე თოთო ბავშვები იმის გამო მიდიან, რომ დაადგინონ, თუ რომელი მისი სახეობა რა ვითარებაში „მუშაობს“. ამასთან, მათ მშვენივრად ესმით, რომ ხშირი ტყუილი არ შეიძლება.

მარიხუანა... არყის წინააღამდეგ

ამერიკის შტატებში ვაშინგტონსა და კოლორადოში მოსახლეობის უმრავლესობამ ხმა მისცა მსუბუქი ნარკოტიკის მარიხუანის თავისუფლად ყიდვა-გაყიდვისა და მოხმარებას.

აღსანიშნავია, რომ მსუბუქი ნარკოტიკების მოხმარებისთვის არ სჯიან ევროპის რიგ ქვეყანაში — ჰოლანდიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში და სხვ. ერთი პერიოდმი ლაპარაკი მარიხუანის ლეგალიზების თაობაზე ჩვენშიც წამოიწყეს, მაგრამ ბოლო დროს ეს თემა საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი აღარ არის.

მსუბუქი ნარკოტიკების ამერიკელი მომხრეები კი აცხადებენ, რომ „პლანით“ ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი ბიუჯეტის შევსებას შეუწყობს ხელს, თანაც ასეთი ალტერნატივის გაჩენასთან ერთად მოსახლეობა მაგარ ალკოჰოლიან სასმელებს აღარ მიეძალება. მარიხუანის ლეგალიზების სასარგებლოდ კიდევ ერთი წონადი არგუმენტია ის გარემოება, რომ მისი თავისუფლად გაყიდვა და მოხმარება მავნე ძლიერი ნარკოტიკების —კოკაინის, ჰეროინისა და ა.შ. გამავრცელებლებთან ბრძოლას შეუწყობს ხელს.

ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონი — ვაზეთებიდან

ეყოლება თუ არა თბილისს „ერთპიროვნული მმართველი“

„ნაციონალური მოძრაობა“ და კახა კუკავა აცხადებენ, რომ „ქართული ოცნების“ მიერ ბიუჯეტის ჩაგდების საკითხი უკვე გადაწყვეტილია და თბილისის თვითმმართველობის მომავალ დროებით მმართველად საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი განიხილება. მათივე თქმით, სწორედ ამიტომაც აქტიურობს ყველაზე მეტად შიხიაშვილი ბიუჯეტის ჩაგდებაში. მართალია, საპასუხოდ შიხიაშვილი დროებითი მმართველობის შემოღების გეგმაზე ღიად არ საუბრობს, თუმცა, ბიუჯეტის დამტკიცების სანაცვლოდ მოთხოვნას აყენებს — მოხდეს უგულავას მიერ დანიშნული თბილისის მთავრობის გადაყენება და ახალი შემადგენლობა საკრებლოსთან შეთანხმებით შეირჩეს.

„რეზონანსი“

„ხაიშში ვიღაც წყალს რომ ამღვრევს, ფაქტია“

— ფიქრობს სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია, — ჯერ ამზომველებიც არ მისულან დანიშნულების ადგილზე და იქ უკვე 40-მდე კაცია შეკრებილი და ამზომველების ჩასვლას აპროტესტებენ, რაც აბსურდად მიმაჩნია. ხაიშში ვიღაც წყალს რომ ამღვრევს, ფაქტია და ახლავე აგიხსნით რატომ: ამზომველი მიდის, მათ ინტერესს იცავს, რადგან იქ უმეტესობას მიწა დაკანონებული არა აქვს და ესენი აპროტესტებენ. ამ დროს ხუდონჰესის ინვესტორი კომპანია ეუბნება ამ ხალხს — დაგიკანონებ, დაგირეგისტრირებ მიწას, ამის მერე, გინდა გაყიდე და გინდა, გადაწყვიტე, რას იზამო. წარმოიდგინეთ, საუბარია იმ მიწაზე, რომელიც ასეთი აბსურდული გაგებით საერთოდ არ არის ხალხის კუთვნილება.

„ვერსია“

გიორგი თარგამაძე ტელევიზიაში ბრუნდება?

სად არის და რატომ გაქრა პოლიტიკური ასპარეზიდან ერთ დროს საკმაოდ აქტიური ოპოზიციური ლიდერი გიორგი თარგამაძე? „ვერსიის“ ინფორმაციით, ქრისტიან-დემოკრატების თავმჯდომარემ საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხების, განსაკუთრებით კი, ბიძინა ივანიშვილთან დაპირისპირების შემდეგ, პოლიტიკურ ცხოვრებაზე უარი განაცხადა და საკუთარ მომავალს ისევ ტელევიზიაში ან აშშ-ში გამგზავრებაში ხედავს. ამ საკითხთან დაკავშირებით თავად გიორგი თარგამაძე არ საუბრობს, მისი თანამებრძოლი ლევან ვეფხვაძე კი ინფორმაციას ნაწილობრივ ადასტურებს.

„ყველა სიახლე“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ცინცხალი ანეკდოტები

— გილოცავთ, უმალ შეგამჩნევთ ადამიანი, რომ დაქორწინებულხართ... საუცხოოდ დაუთოებული პერანგი გაცვიათ!

— მართალი ბრძანდებით! გაუთოება პირველია, რაც ცოლმა მასწავლა.

* * *

— მიხო, შენი მშობლების ნახვა მინდა, — ეუბნება მასწავლებელი.

— კარგით, მასწ. იმათ ფოტოებს მოგიტანთ.

* * *

— ძალები, თურმე, ძალიან ვერაგები ყოფილან! — ეუბნება ტრავმატოლოგი ძმაკაცს. — გუშინ მეზობლის ქალმა შემომჩივლა, ფეხი ვიტკინეო. დავიწყე შემოწმება, წვივზეც ვუსვი ხელი და ვამოწმე, ბარძაყზეც, მაგრამ ვერანაირი დაზიანება ვერ აღმოვაჩინე. მაგრამ უკვე დაგვიანებულია...

* * *

ებრაული ქორწილი მიმდინარეობს.

— რამდენი მმართებს თქვენი ცერემონიისთვის? — ეკითხება სიძე რაბინს.

— პირადად მე არაფერი მინდა, მაგრამ თუ გსურთ, შემოსწირეთ სინაგოგას იმდენი ფული, რამდენადაც თქვენი ცოლის სილამაზეს აფასებთ.

სიძემ იფიქრა და ჯიბიდან ერთი შეკელი ამოიღო. რაბინმა ფრთხილად აუწია ფატის ნაწილი პატარძალს, სახეზე შეხედა, ამოიოხრა და სიძეს ხურდა დაუბრუნა.

* * *

ავიაკატასტროფის შემდეგ უკაცრიელ კუნძულზე აღმოჩნდა ორი მამაკაცი. ერთი ძალიან მოდღლეზილი ტიპია, მეორე კი სათვალიანი გამხდარი ინტელიგენტი.

სხედან ჩაფიქრებულნი.

— როგორი ქალები მოგწონთ, პუტკუნა თუ გამხდრები? — ეკითხება ინტელიგენტი უხერხული სიჩუმის დარღვევის მიზნით.

— ნუ ნურვიულობთ, გამოდგებით.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24